პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
სამშაბათი
17 ივლისი
№ 164 (17509)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

საქმეთ გამოაჩინა

სილამაზის მეტრები

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი ნაყის პროდუქტის ცალკეულ და მოთელვის [illegible] ლეთში, უკრაინასა და შუა აზიის რესპუბლიკებში, საბჭოთა კავშირის მრავალ კუთხეში აგზავნის. საწარმოს ათი სახეობის ქსოვილს სახელმწიფო ხარისხის ნიშანი მიენიჭა.

გაერთიანების მშრომელებმა მიმდინარე წლის პირველი ნახევარი მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით დაამთავრეს, გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 3611 ათასი მანეთის აბრეშუმის ქსოვილი.

საწარმოში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მეოთხე წლის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

შრომითი მეტოქეობის ავანგარდში არიან მოწინავე მქსოველები ბაბულია ოქრუაშვილი, რომელმაც უკვე შეასრულა პირადი ხუთწლედი, ლია დვალიშვილი, დები რუსუდან და იზოლდა დიმიტრაშვილები და მრავალი სხვა.



სურათზე: თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მოწინავე მქსოველი იზოლდა დიმიტრაშვილი ამოწმებს ციმბირში გასაგზავნ სატაო ხუთკუთხედიანი ქსოვილის ხარისხს.

ნ. ვარდიაშვილის ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

იდეოლოგიური მუშაობის არსენალი

ჩვენს ქვეყანაში თანმიმდევრულად ხორციელდება პარტიის პროგრამული მიზნები, სკკპ XXV ყრილობის მითითებანი თითოეული საბჭოთა ადამიანის კომუნისტური შეგნების ჩამოყალიბების დარგში. ჩვენი მოქალაქენი იზრდებიან მაღალი იდეურობის, პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით. ბევრი რამ კეთდება ბურჟუაზიული შეხედულებებისა და ზნე-ჩვეულებების გადმონაშთების დაძლევისათვის, პიროვნების ჰარმონიული განვითარებისათვის. წარმატებას უზრუნველყოფს იდეოლოგიური და ორგანიზატორული საქმიანობის ერთიანობა, აღზრდის ამოცანების გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომა, პარტიის იდეების აქტიური გამტარებლები არიან პოლიტიკური განათლებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროპაგანდის ცენტრები, სახალხო უნივერსიტეტები, საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორიუმები, კულტურის დაწესებულებანი. მათი მუშაობის ეფექტიანობას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მტკიცე მატერიალური ბაზა, რომლის სრულყოფას დიდძალი სახსრები ხმარდება. ქვეყანაში მოქმედებს 7.500 პოლიტიკური განათლების სახლი და კაბინეტი, 136 ათასი საკლუბო დაწესებულება, 131 ათასი მასობრივი ბიბლიოთეკა, დაახლოებით 1.400 მუზეუმი, 153 ათასი კინოდანადგარი. გეგმაზომიერად ვითარდება ტელევიზია და რადიომაუწყებლობა, ივსება პროპაგანდის, კულტურულ-მასობრივი მუშაობის ტექნიკურ სამუშაოთა არსენალი.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გადასაწყვეტი პრობლემებიც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ ითვალისწინებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მისი მატერიალური ბაზის გაფართოება და უფრო ქმედითი გამოყენება. ისახება ამოცანა ამაღლდეს პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების, საინფორმაციო ცენტრების როლი, განმტკიცდეს საწარმოო კოლექტივებში, მშრომელთა საცხოვრებელ და დასვენების ადგილებში აღმზრდელობითი მუშაობის მატერიალურ-ტექნიკური საფუძველი. საჭიროა აგრეთვე, რომ ამ მიზნით, უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, მაქსიმალური ნაყოფიერებით ვიყენებდეთ ყველა სახახლეს, კლუბს, ბიბლიოთეკას, სტადიონს.

კარგ მაგალითს გვიჩვენებენ სვერდლოვსკის ოლქის პარტიული და საბჭოთა ორგანოები. აქ ყოველმხრივ გააანალიზეს იდეოლოგიური, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობა და წარმატებით ახორციელებენ მათი მატერიალური ბაზის განმტკიცების პროგრამას. დადებითი გამოდგა კულტურული კომპლექსები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს სოფლის კულტურის კერების ძალების გაერთიანებას, კლუბების, ბიბლიოთეკების საქმიანობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. მოფიქრებულად აქვთ საქმე დაყენებული ლიტვის უკმერგის რაიონში, სადაც საწარმოებსა და კოლმეურნეობებში შექმნილია პოლიტიკური მუშაობის პუნქტები. მაგალითად, ს. ნერიისის სახელობის კოლმეურნეობაში ისინი შექმნა კულტურის სახლთან, სამაქანო ეზოში, მეცხოველეობის ფერმაში. ტექნიკური საშუალებებით უზრდ აღჭურვილმა ამ პუნქტებმა ხელი შეუწყვეს აღმზრდელობითი მუშაობის დონის ამაღლებას, თითოეულ მშრომელთან დაახლოებას. ქვეყნის პარტიული, საბჭოთა ორგანოები მეტ ყურადღებას უთმობენ რაიონული, საქალაქო და სოფლის გაზეთების პოლიგრაფიული ბაზის განმტკიცებას, ადგილობრივი ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის უახლესი აპარატურით აღჭურვას.

ამავე დროს რედაქციაში მოდის სიგნალები, რომ მთელ რიგ ადგილებში პარტიულ ორგანიზაციებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოებს აღმასკომებს, სამეურნეო, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებს მხედველობიდან რჩებათ იდეოლოგიური მუშაობის მატერიალური ბაზის განმტკიცების საკითხები. ზეპირ პოლიტიკურ პროპაგანდასა და აგიტაციაში სათანადოდ ვერ იყენებენ თანამედროვე ტექნიკურ საშუალებებს, ეკრანულ, ბეჭდურთსა და ნახევრად თვალსაჩინო მასალებს, მკითხველებს ვერ აკმაყოფილებს რესპუბლიკურ და საოლქო გამომცემლობათა მიერ მომზადებული ბეჭდური წიგნის პოლიგრაფიული ხარისხი და გამოცემის ვადები.

ჯერ კიდევ ნელა შენდება კულტურის ობიექტები, სპორტული ნაგებობანი. მაგალითად, არაუმეტესნაიდაგიან ნონაში სოფლის კლუბების აშენების ხუთწლედის სამი წლის გეგმა მესამედით შესრულდა, კულტურის რაიონული სახლების — 65 პროცენტით; სოფლის მშრომელთა წინაშე დიდ ვალში არიან რუსეთის სფსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ქვეგანაყოფები. კულტურის ბევრი ახალშენებია უკრაინაში. მარტო მიმდინარე ხუთწლედის სამ წელიწადში აშენდა 582 კლუბი, შენდება კიდევ ხუთასამდე ასეთი ნაგებობა. მაგრამ რესპუბლიკის მთელ რიგ დარგებში ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების კომპლექსური პროგრამები არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება. ახლახან უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მწვავედ გაკრიტიკეს კულტურის რესპუბლიკური სამინისტრო, უკრაინის პროფსაბჭო, პოლტავის, კიევის, ხარკოვის, ჩერნიგოვის ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, სადაც არ სრულდება საკლუბო დაწესებულებათა საეკსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები.

ახალი ამოცანები, რომლებსაც პარტია უსახავს პროპაგანდისტულ კადრებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა თანამშრომლებს, მოითხოვს აღმზრდელობითი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების მუდმივ სრულყოფას, მისი ტექნიკური არსენალის გაფართოებასა და უფრო ეფექტიან გამოყენებას. მაგრამ განა ყოველთვის ნამდვილად ზრუნავენ ამისათვის ადგილებზე? სამწუხაროდ, არა. მაგალითად, პოპულარობა მოიპოვეს კულტურისა და ტექნიკის სახახლეებმა მინსკში, გორკში, იაროსლავლში, კრასნოტორსკში, კოლომნაში, სხვა ქალაქებში. მაგრამ პერსპექტიული საქმე ფერხდება იმის გამო, რომ ზოგჯერ ძალიან ჭირს მოწყობილობის, ხელსაწყოების შეძენა, ჯერჯერობით არ არის ასეთი სახახლეების ტიპობრივი პროექტები. კულტურის სამინისტროებმა, საკავშირო პროფსაბჭომ, მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა ყოველნაირად უნდა დაუჭირონ მხარი კულტურული მუშაობისა და მოსახლეობის დასვენების ახალ ფორმებს.

ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იდეურ-აღმზრდელობითი, პოლიტიკური მუშაობის ცენტრების თანამედროვე ბეგრაჩამწერი აპარატურით, მაყურებლთა დარბაზების, სალექციო აუდიტორიების რადიოფიცირების მოწყობილობით აღჭურვისათვის. გაუმჯობესებას საჭიროების სპეციალიზებული ტრანსპორტით ამ დაწესებულებათა უზრუნველყოფა.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ დღენიადაგ გაბარდონ იდეოლოგიური მუშაობის არსენალი, ყოველი ღონე იხმარონ, რათა ვადაზე და მაღალხარისხოვნად შენდებოდეს კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული ობიექტები, აღჭურვებოდეს ისინი თანამედროვე ტექნიკური საშუალებებითა და მოწყობილობით. იდეოლოგიური მუშაობის მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის ზრუნვა ხომ საბოლოო ანგარიშით მისი ქმედითობის გაძლიერებისათვის, იმისათვის ზრუნვაა, რომ თითოეული ლექტორიუმი და კლუბი, ბიბლიოთეკა და კინოსაკონცერტო დარბაზი, იდეურ-ზნეობრივი, პოლიტიკური აღზრდის ყველა საშუალება უფრო სრულად აკმაყოფილებდეს მშრომელთა მოთხოვნილებებს, უფრო ეფექტიანად ემსახურებოდეს კომუნისტური მშენებლობის საქმეს.

ორგიტაზე მუშაობა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 16 ივლისი. (საკდესი). გრძელდება კოსმოსის ათვისების ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი ფრენა: ვლადიმერ ლიახოვი და ვალერი რიუმინი უკვე 142 დღეა მუშაობენ დედამიწისირიგვლივ ორბიტაზე. კავშირის სეანსების დროს სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავებმა ვლადიმერ კოვალიონოკმა და ალექსანდრე ივანჩენკოვმა, რომლებმაც 1978 წელს 140 დღეს იფრინეს, გულთბილად მიულოცეს პილოტირებული კომპლექსის ეკიპაჟს ამ მიღწევის გაუჭობისება.

დღეს მოეწყო „სალუტ-6“ სადგურის გაერთიანებული ძრავის დანადგარის მჭანგველით კმაგწყობა. ეკიპაჟი კონტროლს უწევდა კმაგწყობის პროცესს, რომელიც ფრენის მართვის ცენტრიდან მიცემული ბრძანებებით ხორციელდებოდა.

დედამიწისირგვლივ ორბიტაზე მუშაობა გრძელდება.

ხარისხი, ეფექტიანობა

ხუთწლედის მეკათე წელი

ჩქაროსნული მეთოდით

ფოთი. (საკ. კორ.). ლენინგრადელ ტრანსპორტის მუშაკთა გამოცდილება ფართოდ ინერგება ფოთის სავაჭრო საზღვაო ნავსადგურში, რაც ხელს უწყობს პირდაპირი ვარიანტით გემების ჩქაროსნული მეთოდით დამუშავებას, სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადამუშავების იანვარ-ივნისის დავალება ნავსადგურის კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ამ ხნის განმავლობაში გადამუშავებულია ორ მილიონამდე ტონა ტვირთი, აქედან პირდაპირი ვარიანტით გადამუშავებულმა ტვირთმა 25,8 პროცენტს მიაღწია.

ყველა მოწინავეა

თელავი. (საკ. კორ. დ. გერგიშვილი). ამჟამად რაიონის მრეწველობა უჩამორჩენილობად მუშაობს. სამრეწველო ორგანიზაციებმა ვადამდე, 25 ივნისისათვის 102,9 პროცენტით შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების 6 თვის გეგმა. დამზადდა 1494 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი, ნაცვლად 45699 ათასი მანეთისა, გასაღებულია 47671 ათასი მანეთის პროდუქცია.

სამრეწველო ორგანიზაციათა შორის გამოირჩევა სოციალისტურ შეჯიბრებას ჯვლავ ლიდერობენ საკონსერვო, რკინა-ბეტონისა და მექანიკური ქარხნები, წინდის საქსოვი და სამკერვალო ფაბრიკები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ამოცანები ნათელია, მიჯნები განსაზღვრული, ახლა საჭიროა წარმატებით გადავლახოთ ისინი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელზეც მოისმინეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ნ. ა. ჭითანავას ინფორმაცია წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგებისა და 1979 სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრების ამოცანების შესახებ, რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის ფ. ა. ანანიაშვილის ინფორმაცია ბიუჯეტის შემოსავლის შესრულების მიმდინარეობისა და სამინისტროებსა და უწყებებში ეკონომიკური მუშაობის ნაკლოვანებათა შესახებ, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უფროსის რ. ვ. ბასარიას ინფორმაცია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო დისციპლინის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ამოცანების შესახებ.

ინფორმაციათა გამო გამოვიდნენ საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე ო. ა. ბიბილეიშვილი, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი რ. ხ. კონცელიძე, „საქფრინველმრეწვის“ გაერთიანების მმართველი ვ. ი. გვარჯალაძე, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის დირექტორი ა. ა. ცქიტიშვილი, კამოლმაუდის კომბინატის „საქართველოს“ დირექტორი ო. ვ. ბალანჩიკაძე, რესპუბლიკის მთავარმომარაგების უფროსი ა. ი. ბუაძე, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი ლ. გ. ვარდოსანიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი შ. მ. ეცადაშვილი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი გ. ვ. კოლბინი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. გ. გილაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

გაერთიანებული სხდომის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მრეწველობამ პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ნახევარი წლის დავალება შეასრულა 101,4 პროცენტით, ხოლო მთლიანი პროდუქციის გამოშვებისა — 101,6 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით რეალიზებულია 50 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია. 1978 წლის პირველ ნახევართან შედარებით წარმოების მოცულობის მატების ტემპმა შეადგინა 6,7 პროცენტი, მთლიანი პროდუქციის საშუალოსადღეღამისო გამოშვება გაიზარდა 7,2 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 5,3 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია მრეწველობის მთლიანი პროდუქციის საერთო მატების 80,6 პროცენტი.

არის გარკვეული წარმატებანი სოფლის მეურნეობაშიც. ძირითადად დამაკმაყოფილებლად დამთავრდა პირუტყვის გამოზამთრება და საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები. წარმატებით მიმდინარეობს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფა, ჩაღდება მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღების სამუშაოები, შესრულდა სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის ძირითადი პროდუქტების მიყიდვის დავალებანი.

ამავე დროს რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოების, გაერთიანებების, მშენებლობების სამეურნეო საქმიანობაში, სოფლის მეურნეობაში არის სერიოზული ნეკლოვანებანი და ხარვეზები, რომლებმაც გაანელეს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა.

დღეს რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების საქმიანობა მიზნად უნდა ისახავდეს იმას, რომ ყოველნაირად აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა და პროდუქციის ხარისხი, ზუსტად დაიცვან მომჭირნეობის რეჟიმი, დღენიადაგ იზრუნონ შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების დანერგვის საფუძველზე. მაგრამ სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, სამშენებლო, სამონტაჟო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო, სამეცნიერო და სხვა ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი არ დგას აქტიურ, პრინციპულ, შეტევითს პოზიციაზე, ძველებურად მუშაობას ამჯობინებს, ნელა, ზოგჯერ უხალისოდ აღმოფხვრის რესპუბლიკას ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებულ ნეგატიურ მოვლენებს. სწორედ ამიტომ წლის პირველი ნახევრის შედეგებით ვერ მოხერხდა სამრეწველო წარმოების ზრდის იმ ტემპის მიღწევა, რომელიც განსაზღვრულია წლიური გეგმით და ნაკისრია სოციალისტური ვალდებულებები. განსაკუთრებით მკვეთრად შემცირდა ზრდის ტემპი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და გაერთიანებებში. კვლავ ჩამორჩენა აგრეთვე საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და გაერთიანებების ბევრი კოლექტივი. მაგალითად, რუსთავის მეტალურგიულმა და ქიმიურმა ქარხნებმა, თბილისის ჩარხსაშენებელმა საწარმოო გაერთიანებამ, საშენ მასალათა მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროების სისტემაში შემავალმა და სხვა საწარმოებმა წლის პირველ ნახევარში ვერა და ვერ მიაღწიეს გარდატეხას უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების საქმეში წლის დამდეგს შექმნილი ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის მუშაობაში. აქის შედეგად არ შესრულებულა თეჯის, ნაგლინის, მინერალური სასუქების, ლითონსაჭრელი ჩარხების, ცემენტის, შეფერის, ბამბისა და მატის ქსოვილების, ტყავის ფეხსაცმლისა და სხვათა წარმოების გეგმა.

მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი, რომ უნდა აღმოიფხვრას ის მანკიერი პრაქტიკა, როცა დაუსაბუთლად შეაქვთ შესწორებები დამტკიცებულ გეგმებში მათი შემცირების მიზნით. მოიყვანეს მაგალითები, როცა ცალკეული საწარმოების ხელმძღვანელები უგულებელყოფენ საერთორესპუბლიკურ ინტერესებს და ჯერ კიდევ ცდილობენ საკადრო სამინისტროებს შეამცირებინონ საწარმოო პროგრამა, ნაცვლად იმისა, რომ ამავე სამინისტროების, სხვა ზემდგომი ორგანიზაციების დახმარებით გამოხსნონ უწესივრობათა აღმოფხვრის გზები და შეასრულონ სახელმწიფო დავალებანი. ასეთ საწარმოთა შორისაა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, თბილისის „საქსოფლმანქანა“, საწარმოო გაერთიანება „საქპოლიმერკონტეინერი“, საქართველოს სსრ დამზადების სამინისტრო და სხვები.

ცხადია, რომ დასახული მიზნის მიღწევაში წარმატებანი შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ზუსტად ურთიერთმოქმედებს წარმოების ყველა რგოლი, თუ თითოეული მუშა, სოფლის მშრომელი დაინტერესებით ეკიდება საკუთარ მოვალეობებს, თუ ეფექტიანად წარმოებს სოციალისტური შეჯიბრება კოლექტივში. და აქ პარტიული, საბჭოთა ორგანოების, ყველა კომუნისტის წინაშე საქმიანობის ფართო ასპარეზი გადაშლილი. მაგრამ, როგორც გაერთიანებულ სხდომაზე აღინიშნა, ჯერ კიდევ ყველა როდია გამსჭვალული მეათე ხუთწლედის დავალებათა უთუო შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით.

კომუნისტების მოვალეობაა შექმნან ისეთი პირობები, რომ მართლა მებრძოლური გახდეს შეჯიბრება, უფრო მასობრივი, ქმედითი გახდეს რეზერვების ძიება, რასაც ამჟამად მთავარი ყურადღება უნდა მივაპყროთ. რასაკვირველია, საშუალებათა შერჩევა წარმოების სპეციფიკითაც და შეჯიბრების მოწყობის პრობლემათა ხასიათითაც განისაზღვრება. მაგრამ არის საკითხები, რომლებიც დგას კომუნისტების წინაშე ნებისმიერ საწარმოში, ნებისმიერ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში. მოწყონ კოლექტივში რეგულარული ინფორმაცია ინდივიდუალური და ბრიგადული ვალდებულებათა შესრულების შესახებ, დახმარება გაუწიონ ახალგაზრდა მუშებსა და ჩამორჩენლებს, ფართო ბძოლა გაშალონ კადრების დენადობის წინააღმდეგ, გაზარდონ მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და ამხანაგებისადმი, მიაღწიონ სიტყვისა და საქმის ერთიანობას — ყოველივე ეს არის სწორედ კომუნისტების კოლექტიური მუშაობა შეჯიბრების ორგანიზაციისათვის, სულ ახალ-ახალი რეზერვების გამოვლინებისათვის.

ცნობილია, რომ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ამაღლება, საბოლოო ანგარიშით, ყველაზე დიდნაწილად ინდუსტრიული ამოცანაა, რომლის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის განვითარების წარმატება. მაგრამ, როგორც გაერთიანებულ სხდომაზე აღინიშნა, რესპუბლიკაში ბევრია ისეთი საწარმო, განსაკუთრებით საკავშირო დაქვემდებარებისა, რომლებიც სერიოზულ მნიშვნელობას არ ანიჭებენ შრომის ნაყოფიერების ზრდას. ეს არის ძირითადი მიზეზი, რომ საკავშირო დაქვემდებარების მრეწველობაში მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის მანძილზე შრომის ნაყოფიერების დონე წლიური გეგმით გათვალისწინებული 5 პროცენტის ნაცვლად მხოლოდ 2,6 პროცენტით ამაღლდა. ამ საწარმოებს შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით სარეზერვო პროდუქციის საერთო მატების მხოლოდ 59,1 პროცენტია მიღებული.

სხდომაზე მოიყვანეს მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, არაჩვეულებრივ მიზეზით სამუშაო დროის დანაკარგები რომ არა, რესპუბლიკაში მარტო პირველ კვარტალში შეიძლებოდა დამატებით გამოგვეშვა 25 მილიონი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, შეგვესრულებინა 1,5 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

სხდომაზე ითქვა, რომ არადამაკმაყოფილებლად სრულდება მოგების გეგმა. მრეწველობის საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების დავალება მთლიანად რესპუბლიკაში მხოლოდ 93,9 პროცენტით შესრულდა. სამართლიანად გააკრიტიკეს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საქმიანობა, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ დაუწესა ჯეროვანი კონტროლი ფულადი სახსრების სწორად გამოყენებას, მომჭირნეობის რეჟიმისა და ფინანსური დისციპლინის დაცვას.

გაერთიანებულ სხდომაზე დაწერილებით ილაპარაკეს იმ ამოცანებზე, რომლებიც სოფლის მშრომელთა წინაშე დგას. შეშფოთებას იწვევს ჩამორჩენა, რომელიც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საზოგადოებრივ სექტორს აქვს მეცხოველეობის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პროდუქტების დამზადებაში. სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლის პირველი ნახევრის გეგმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს 96,5 პროცენტით, ყვერცხისა — 89,6 პროცენტით, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა 99,5 პროცენტით შეასრულეს ხორცის დამზადების გეგმა.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მოყიდვაში მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აქვთ ლანჩხუთის, კასპის, გურჯაანის, გორის, საგარეჯოს, წითელწყაროს და სხვა რაიონების მეურნეობებს. თივისა და სენაჟის დამზადების ტემპი უნდა დაჩქარდეს საგარეჯოს, სიღნაღის, თელავის, ახმეტის, მარნეულის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, ზესტაფონის, საჩხერის, ონის, ამბროლაურის, მახარაძის, წითელწყაროს, წულუკიძის, ცაგერის, აბაშის, გეგეჭკორის, ლანჩხუთისა და სხვა რაიონებში, აგრეთვე ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე. აღინიშნა, რომ ისინი ჩამორჩებიან დამზადების შარშანდელ ტემპს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულმა სხდომამ აღნიშნა, რომ კაპიტალური მშენებლობა კვლავ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი დარგია. აუთვისებელია 20 მილიონ მანეთზე მეტი კაპიტალური დაბანდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე გამოითქვა მტკიცე რწმენა, რომ საქართველოს მშრომელები დაძლევენ ჩამორჩენას, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ ახალი რეზერვების გამოვლენებისათვის და ჩააყენებენ მათ წარმოების სამსახურში, მთელ თავიანთ მუშაობას წარმართავენ წლიური გეგმის, გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის. (საქინფორმი).

საკვების მოპოვებას — შეუნელებელი ყურადღება!

პალიასტომის-პირა სათიბებში

მახარაძელთა მაგალითი მისაბაძია

ერთ წელზე მეტია, რაც მახარაძელმა მშრომელებმა პალიასტომის ტბის სანაპირზე ბუნებრივი ბალახის თიბვა დაიწყეს. საუკუნოვან ჭაოს ხელიდან აცლიან ათასობით ტონა მწვანე მასას.

პირველ ხანებში აქ საკვების დამზადების ყველა სამუშაო ხელით ხრულდებოდა, უძნელდებოდათ თივის გამოზიდვა, არ ჰქონდათ წყლის ტრანსპორტი. ასეთ პირობებში კოლმეურნეობებმა ჯ ათასი ტონა თივა მაინც დაამზადეს. წელს კი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პირობები. დაინერგა მექანიზაცია. წლის დამდეგს შეიქმნა საკვებმომპოვებელი ორგანიზაცია — საკვებმოპოვების სამეურნეობათაშორისო გაერთიანება, რომელსაც სათავეში ჩაუყენეს გამოცდილი მუშაკი მ. ზაქარიაძე. გაერთიანების განკარგულებაშია 10 მოდერნიზებული თივის საზიდი ტრაქტორი, 12 ნავი, 4 კატარღა და სხვა ტექნიკა.

მახარაძის რაიონის რომელი სოფლიდან, კოლმეურნეობიდან თუ ხაბჭოთა მეურნეობიდან არ ნახავთ აქ მთიბავებს. ყოველდღიურად 170-200 კაცი მუშაობს. აპრილიდან დღემდე 1250 ტონაზე მეტი თივაა დამზადებული.

საკვებმომპოვებლები დოსტატდნენ და ვაიწყაფნენ კოლბეთის უდაბური ადგილების ათვისებაში. 5 კილომეტრზე გაიყვანეს ახალი არხი, რომლის სანაპიროზე თივის ულეველი მარაგია.

დიდ საქმეს აკეთებენ მელიორაციის და წყალთა მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის მოძრავი მექანიზებული კოლონის (დირექტორი — ვ. მამასახლისი) მექანიზატორები, რომლებიც წლის ბოლომდე დაამთავრებენ ჩერბაკაფირორის ახალი არხის გაყვანას. ამით საბოლოოდ გადაწყდება 5.800 ჰექტარ ფართობზე ბუნებრივი თივის მოპოვებისა და წყლის ტრანსპორტით მისი გამტანის პრობლემა.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: პალიასტომის მიდამოებში მოთიბული ბალახის ნავებით გადაზიდვა.

ბ. ბიორგაძის ფოტო.

ბრესკონფერენცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციების, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის, საქინფორმის მუშაკებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში მოეწყო პრესკონფერენცია ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სამომმართველო კოოპერაციის საკითხებზე.

პრესკონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ვ. ქარუმიძემ.

ჟურნალისტთა კითხვებზე პასუხი გასცეს რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრმა მ. მეგრელიშვილმა, საქართველოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ვ. სობოლევმა, „ცეკავშირის“ გამგეობის თავმჯდომარემ კ. შავიშვილმა.

პრესკონფერენციის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილების გამგემ შ. ბერიანიძემ. (საქინფორმი).

ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲘ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲔᲑᲘ

ᲮᲔᲚᲛᲝᲛᲬᲔᲠᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲚᲘᲡ...

ᲦᲕᲐᲜᲛᲝᲡᲘᲚᲘ ჭიღარა პედაგოგი, რომელსაც გულმკერდს ლენინის ორდენი უმშვენებდა, დინჯი ნაბიჯით ქალაქის ცენტრში მდებარე ჟურნალ-გაზეთების ერთ-ერთ კიოსკთან მივიდა. გამყიდველმა, შრომის ვეტერანმა ლიდა ჯიქიამ მომსვლელს თავაზიანად უპასუხა, ახალი ჟურნალ-გაზეთები ჯერ არ მიგვიღიაო. მოხუცმა, დაველოდებიო, უკმაყოფილად ჩაილაპარაკა, და იქვე ახლოს მდებარე რაფიელ ერისთავის ცნობილ ჭადრების ხეივანში ჩამოჯდა. ეს იყო ნაშუადღევის, 5 საათზე.

მაგრამ ქალაქში განლაგებული კიოსკები იმ დღეს ისე დაიკეტა, რომ ასობით მკითხველს ახალი ჟურნალ-გაზეთები არ ღირსებია, მათი ლოდინი ამაო გამოდგა.

ცხადია, როცა ჟურნალ-გაზეთების კიოსკები გაზეთებს ხშირად დაგვიანებით ან სულ არ მიიღებენ სარეალიზაციოდ, ხელმომწერები, მით უმეტეს, ოჯახში მეორე დღემდე ვერ იღებენ.

მიზ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑᲐᲓ

კაცი შრომით იცნობა

ᲐᲛ ᲠᲐᲒᲓᲔᲜᲘᲛᲔ წლის წინათ ერთი ჩემი ნაცნობის ვაჟს, რომელიც თურმე მისაღებ გამოცდებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე აბარებდა და ვერ მოხვდა, რადგან ერთ-ერთ საგანში ჩაიჭრა, საბუთები სასწრაფოდ გადაუტანია ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. აქ მას კონკურსშიც გაუმარჯვია და სტუდენტიც გამხდარა. როცა ამ ამბავმა სოფელში ჩამოაღწია, სიმართლე გითხრათ, გული უფრო დამწყვიტა, ვიდრე გამახარა. ასეთი რაგინდარა დიპლომის მაძიებლისგან მეცხოველეობის ფერმის სპეციალისტიც ხომ ისეთივე უნდა დადგეს და მერე, თუ მან ხელმძღვანელის სავარძელიც მოიგდო ხელში, ერთი კი არა, ათი ფერმის საქმე დატრიალდება უკუღმა.

მეორე მაგალითი: შარშან, შემოდგომაზე, ჩვენი კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში სამუშაოდ საშუალო სკოლადამთავრებულნი ეთერ ცარციძე და მარინე მასურაშვილი მოვიდნენ. ამაში თითქოს არაფერია განსაკუთრებული: სოფლის მეურნეობა ყოველწლიურად ხომ შევსებას საშუალო სკოლებიდან და პროფტექნიკური სასწავლებლებიდან იღებს. ახალგაზრდობა დღეს უფრო მეტად, ვიდრე რამდენიმე წლის წინათ, ხალისით რჩება სოფლად. მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მექანიზაცია და ავტომატიზაცია არა მარტო სასიამოვნოს, არამედ ნაყოფიერსა და მიზანსწრაფულსაც ხდის შრომას მინდორსა თუ ფერმაში. და მაინც, ამ ქალიშვილების მოსვლაში იყო რაღაც კანონზომიერი და ნიშანდობლივი. ისინი საბავშვოსა ბოდიგების დროს თანაკლასელებთან ერთად საკოლმეურნეო ველ-მინდვრებში შრომობდნენ, ეხმარებოდნენ უფროსებს ნამჯის შეგროვებაში, პიპიროტყვის მოვლაში... სკოლის დამთავრების შემდეგ კი ტექნიკუმს თუ უმაღლეს სასწავლებელს მიაშურა, ვინ რაიონულ ცენტრში წავიდა და სოფლისაკენ აღარც მოუხედავს. ეს ქალიშვილები კი მეცხოველეობის ფერმაში მოვიდნენ, რადგან ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს შეუყვარდათ მეცხოველის პროფესია და თავიანთი ცხოვრებაც სოფელს, საკოლმეურნეო შრომას დაუკავშირეს.

ორივე მაგალითი საგულისხმოა, და, ვფიქრობ, შრომითი საქმიანობის დაწყებისას, პროფესიის ამორჩევისას პირუთვნელად უნდა ვეკითხებოდეთ ჩვენსავე თავს: გამოვადგები თუ არა შრომის ამ უბანზე ქვეყანასა და ხალხს, მომანიჭებს თუ არა სულიერ კმაყოფილებას არჩეული პროფესია.

ჩემი ხანგრძლივი შრომის მანძილზე, კოლმეურნეობის თავმჯდომარეებიც ბევრი მინახავს რომ იცვლებოდნენ და მთავარი, რგებითი აგრონომებიც. ხშირ შემთხვევაში საქმისათვის ამას ვერაფერი საგებლობა მოუტანია.

ერთხელ ჩვენი კოლმეურნეობის პარტიულ კრებაზე ვთქვი, კოლმეურნეობა „სასინჯი ქვა“ როდია, რომელმაც უნდა გაგვაგებინოს, არის თუ არა ახლად დანიშნული აქსანაგი თავისი საქმის ჭეშმარიტი მცოდნე, აქვს თუ არა უნარი დარაზმოს მასები ძნელი მიჯნების დასაძლევად. ასეთი თვისებების მქონე სპეციალისტი ადგილზე უნდა შეირჩეს, თორემ სანამ მის უნარ-ჩვევებს გავიგებდეთ, სამეურნეო წელიც ჩათავდება და ახლა სხვას მოუწევს მძიმე მემკვიდრეობის ტვირთის ზიდვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ხელმძღვანელი სამეურნეო კადრების პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხებს. და ეს შემთხვევითი როდია. სახალხო მეურნეობის განვითარების ახლანდელ ეტაპზე, როცა ღრმად, მრავალმხრივად არის გაანალიზებული განვითარების მთავარი პრობლემები მისი ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების პოზიციებიდან, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება თითოეული ჩვენგანის მომთხოვნელობის, პირადი პასუხისმგებლობის, თვითთაოსნობისა და თვითდისციპლინის გაძლიერებას.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ნოემბრის პლენუმზე ამბობდა, რომ უნდა ვიცოდეთ „კონკრეტულად ვინ აგებს პასუხს სამეურნეო მოცემული უბნისათვის“.

მართლაც, ვინ აგებს პასუხს იმისათვის, რომ წლების მანძილზე ჩვენს კოლმეურნეობას ჰყავს „ზედმეტი“ სპეციალისტი — აგროქიმიური ლაბორატორიის გამგე? საქმე ის არის, რომ საჭირო ანალიზებსა და რეკომენდაციებს ისედაც დროულად გვაწვდიან კვლევითი ინსტიტუტები და მცენარეთა დაცვის სადგური. ლაბორატორია კი არა, კოლმეურნეობაში ჩვეულებრივი სინჯარაც კი არ გაგვაჩნია, კაცმა შიგ რომ წყალი ჩაასხას.

პარტიულ კრებებზეც, გამგეობის სხდომებზეც არაერთხელ დაგვიყენებია საკითხი — გაგვეუქმებინა ლაბორატორიის გამგის შტატი და შეგვექმნა უფრო საჭირო და ცხოვრებით ნაკარნახევი — აგვეყვანა მემინდვრე-აგრონომი, მაგრამ ყოველთვის უარს ვაწყდებოდთ, გვეუბნებიან — უფლება არ გვაქვს, შტატი „ზემოდან“ მოდისო. ვფიქრობ, ეს მაგალითი სრულებითაც ვერ გამოდგება იმ მითითების შესასრულებლად, რომ „სამმართველო აპარატის თითოეული რგოლი ნათლად უნდა ხედავდეს თავის როლსა და ადგილს ყველაზე მნიშვნელოვანი სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტაში“.

ჩვენი კოლმეურნეობის მეცხოველეობის დარგი სახორცე მიმართულებისაა. გვაქვს მეცხოველეობის კომპლექსი. ფერმა მინდვრიდან იწყებოდა, ამბობენ. მაშ როგორიღაა ჩვენი მინდვრები? პირდაპირ ვიტყვი — ღარიბი. შარშან ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახების საშუალო პექტარობრივი მოსავალი ერთობ მცირე იყო. ვერ შესრულდა თივის, სილოსის, საკვები ჭარხლის, ნამჯისა და ჩალის დამზადების წლიური გეგმები, რამაც საბოლოოდ მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებაზეც უარყოფითად იმოქმედა.

ალბ, სად გამოგვადგებოდა მემინდვრე-აგრონომის ცოდნა და გამოცდილება. ხეხილის ბაღებში სამუშაოს კი, რომელიც ზამთრიდან გვიან შემოდგომამდე არ წყდება, მთავარი აგრონომი გაუძღვებოდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგ პლენუმს რესპუბლიკის კომუნისტები, ყველა მშრომელი მოუთმენლად მოელიან, რადგან პლენუმზე ფართო სჯა-ბაასი გაიმართება კადრებთან მუშაობის შემდგომი სრულყოფის შესახებ. კადრები კი ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ყველა ეტაპზე უმთავრესია.

ᲚᲣᲒᲐ ᲑᲣᲖᲐᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
გორის რაიონის მეჯვრისხევის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის ბრიგადირი.

ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ მომზადებასა და განაწილებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მათ ადგილობრივ-ადგილობრივ ეროვნულ კადრებს. ამ მხრივ კარგი გამოცდილება შეიძინა პარტიის ორჯონიკიძის რაიკომმა.

ორჯონიკიძელ მშრომელებს ტრადიციული მეგობრობა აკავშირებთ იაკუტის სსრ ორჯონიკიძის და უკრაინის სსრ ქალაქ კოროსტენის მშრომელებთან. ამ მეგობრობის ნერგი ახარეს ლენინური გვარდიის გამოჩენილმა რევოლუციონერებმა გ. კ. ორჯონიკიძემ და ლ. შ. თაბუკაშვილმა.

ჩვენი რაიონის ხელმძღვანელები და მშრომელთა დელეგაციები ხშირად მიდიან მოძმე რესპუბლიკებში, ეცნობიან მათ შრომას, ცხოვრებას, პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელობის ფორმებს, რასაც შემდეგ იყენებენ თავიანთ მოღვაწეობაში.

წლეულს ორჯონიკიძეში სტუმრად იყო ქ. კოროსტენის (უკრაინის სსრ) დელეგაცია პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ა. ლიტვინოვის ხელმძღვანელობით. ლ. შ. თაბუკაშვილის დაბადების 90-ე წლისთავთან დაკავშირებით მათ საჩუქრად ჩამოგვიტანეს გამოჩენილი რევოლუციონერის სკულპტურული ძეგლი. იგი ახლა დაბის ცენტრს ამშვენებს და მეგობრობის ლამპრად ანთია.

ასეთ კონტაქტებს დიდი სულიერი და შემეცნებითი ძალა აქვს კადრების ინტერნაციონალური აღზრდისათვის.

Თ. ᲒᲝᲠᲨᲐᲕᲨᲕᲘ,
მარელისის საავეჯო ფაბრიკის დირექტორი.

● ●

ᲡᲐᲧᲝᲤᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ მომსახურების სფეროს ზოგჯერ კეთილი განწყობილების სამსახურსაც უწოდებენ. ეს მართლაც რომ ასეა და ამიტომაც მისთვის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს. მაგრამ ჩვენ დღესდღეობით კადრების მწვავე ნაკლებობას განვიცდით და ამასთანავე, დიდია მათი დენადობაც.

სპეციალისტების ნაკლებობა განსაკუთრებით იგრძნობა სოფლად. აქ არ გვყოფნის პარიკმახერები, ფეხსაცმლის მემკეთებლები, დურგლები...

დროა, რომ ყველამ და, უწინარეს ყოვლისა, სათანადო ორგანოებმა ვიზრუნოთ საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მუშაკთა აღზრდა-დაოსტატებისათვის.

Მ. ᲞᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ,
ზუგდიდის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი.

● ●

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის მოწინავე შრომითი კოლექტივები საქმის გაუმჯობესების მიზნით სისტემატურად იჩენენ ახალ-ახალ ინიციატივას და შესანიშნავ წარმატებებსაც აღწევენ. ნებისმიერი ასეთი თაოსნობა ყველას კუთვნილება უნდა გახდეს. ამიტომაც კარგი იქნება, თუ საქართველოს პროფსაბჭო გამოსცემს სპეციალურ ბიულეტენებს ჩვენი რესპუბლიკისა და საერთოდ ქვეყნის მოწინავე შრომითი კოლექტივების, მშრომელების მუშაობის გამოცდილების, მათი ახალი თაოსნობების შესახებ, რაც საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ, გავიზიაროთ და ჩვენს კოლექტივებშიც დავნერგოთ ისინი. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს სოციალისტური შეჯიბრების საჯაროობას და მასობრივი კადრების აღზრდის საქმესაც ძალიან არგებს.

Გ. ᲭᲝᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲔ,
„ჭიათურმანგანუმმშენის“ № 8 ტრესტის ჭიათურმშენის სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.

● ●

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐ ჩვენი მომავალია. და მით უფრო სამწუხაროა, რომ ზოგჯერ სათანადოდ არ ვზრუნავთ ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის, ჯეროვნად არ ვეხმარებით მას. ჯერ კიდევ საკმაოდ ხშირია შემთხვევები, როდესაც უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა სპეციალისტებს უგულისყუროდ ვეკიდებით, უნდობლობას ვუცხადებთ, სამუშაოზე არ ვიღებთ. და ამ გაუმართლებელ პრაქტიკას ხშირად იმით ვამართლებთ, რომ იგი გამოუცდელი სპეციალისტია, ხოლო ჩვენ გამობრძმედილი, საქმის მცოდნე მუშაკი გვჭირდება. რა თქმა უნდა, დილეტანტი საქმეს ვერ გაუძღვება, მაგრამ, თუ ახალგაზრდა სპეციალისტს არ დავუხმარეთ, მხარში არ ამოვუდექით, გამოცდილება არ გავუზიარეთ, არ ვასწავლეთ და დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღიდანვე ხელოვნური ბარიერები შევუქმენით, როგორ უნდა გამოიწრთოს და გამობრძმედილ იგი, როგორ უნდა გახდეს კვალიფიციური სპეციალისტი? ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

Ა. ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ,
ამბროლაურის რაიონის ხვანჭკარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

ᲓᲣᲠᲘᲤᲨᲔᲚᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲛᲐᲕᲚᲔᲑᲘ

ᲒᲣᲓᲐᲣᲗᲘᲡ რაიონის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „დურიფშის“ მეჩაიეებმა უკვე შეასრულეს ხუთწლედი. ოთხი წლის განვლილ პერიოდში ჩაის ფაბრიკაში უკვე 11.480 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი გაიგზავნა.

წარმატებით კრეფენ ნედლეულს მეურნეობის პლანტაციებში. კოლმეურნეობის მოწინავეთა შორის მექანიზატორ იაკობ ტარკილსაც ასახელებენ. იგი თავის მანქანა „საქართველოთი“ მნიშვნელოვნად უსწრებს დროს. მან მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს ვალდებულება იკისრა დავალებაზე 20 ტონით მეტი — 80 ტონა ფოთოლი მოკრიფოს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲘ: ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობა „დურიფშის“ საუკეთესო მექანიზატორი იაკობ ტარკილი.

Ი. ᲭᲝᲮᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲕᲗᲕᲘᲗ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ მოსული კაცი ძნელად დასაჯერებელ, არასასიამოვნო ამბავს მოგვიყვა:

— ხანგრძლივი დროის განმავლობაში საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში მომხდარ დარღვევებზე, სახელმწიფო თანხების უუაირათო, მფლანგველურ ხარჯვაზე ვინღა არ შეგაწუხე, მაგრამ რა?... ფაქტები უტყუარია, შესამოწმებლად მოსული კომისიებიც ვერ უვლიან გვერდს. იწერება აქტები, მაგრამ დამნაშავეებს სათანადოდ არ სჯიან. ცდილობენ საზოგადოებას შავი თეთრად მოაჩვენონ. სიმართლის თქმისათვის ინტრიგანად მომნათლეს.

ზერელე შემმოწმებელთა და მათი მხარდამჭერების „წყალობით“ სოფელმაც ამითვალწუნა, საკუთარმა შვილებმაც უნდობლად დამიწყეს ცქერა. ძნელია სამოცდაათ წელს მიტანებული ინვალიდი კაცისათვის ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნა, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, ბოლოს და ბოლოს

◆ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲧᲠᲘᲚᲘ ᲐᲡᲘᲐᲗᲐᲡᲝᲒᲘᲗ ᲛᲐᲜᲔᲗᲘ.
◆ ᲛᲔᲪᲔᲮᲝᲕᲔᲚᲔᲔᲑᲛᲐ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲝᲠᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲖᲔᲛᲝᲗᲛᲝᲛᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲔᲕᲘᲗ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ.
◆ ᲡᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲝᲫᲔᲚᲘ ᲘᲜᲢᲠᲘᲒᲘᲡᲐᲜᲐᲓ ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲡᲚᲘ.

მომართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს. გამოიყო ავტორიტეტული კომისია, რომელშიც შევიდნენ რესპუბლიკის პროკურატურის, სახელმწიფო ბანკის, ფინანსთა სამინისტროს, „საქწყალპროექტის“ და „საქგეოლოგიის“ წარმომადგენლები. უკვე მერამდენედ შემოწმდა ვ. დეკანოიძის საჩივარში აღძრული საკითხები და, ჰოი, საკვირველებავ, თურმე, განცხადების ავტორი, სწორად აყენებდა ძირითად საკითხებს. შემოწმების შედეგები მიმდინარე წლის 29 მარტს განიხილა საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის ბიურომ. ბოლოს და ბოლოს აღიარეს, რომ ვ. დეკანოიძის მრავალრიცხოვან განცხადებებში დაყენებული საკითხების ძირითადი ნაწილი საფუძველს არ იყო მოკლებული“ (ტექსტი დაცულია).

იძულებითი აღიარებაა. ვ. დეკანოიძეს ახლაც არავინ თანაუგრძნობს საჩხერეში, იმიზეზებენ, პასუხისგებაში ნამყოფიაო. აქ ფრიგო არ იქნება გავიხსენოთ ერთი შეგონება: იურისპრუდენცია სასჯელის ზომას დანაშაულის სიმძიმის მიხედვით საზღვრავს და, როდესაც ჩადენილი ქმედობისათვის სასჯელს მოიხდის პიროვნება, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ხდება. ამასაც რომ თავი დავანებოთ, დეკანოიძემ დანაშაული ამხილა, განა არ უნდა ემხილებინა? დანაშაულის მხილების უფლება ყველას აქვს!

სამწუხაროდ, ამ მთავარს ვერ საზღვრავენ საჩხერეში.

Ო. ᲜᲘᲥᲐᲒᲐᲫᲔ,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ᲛᲔᲪᲔᲮᲝᲕᲔᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲠᲘ

ᲒᲐᲡᲣᲚ შაბათს თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროგაგონშემკეთებელი ქარხნის, სავაგონო დეპოს, გზის დისტანციისა და რკინიგზის ტრანსპორტის სხვა საწარმოთა მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ორგანიზებულად გავდნენ რესპუბლიკის საშეფო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყანებსა და მდელოებზე. ამ დღეს მათ დაამზადეს 20 ტონაზე მეტი თივა, ჩადეს 23 ტონა სენაჟი, დაამუშავეს 38 ჰექტარი ნათესები.

საქართველოს რკინიგზელები ასრულებენ გადიდებულ ვალდებულებებს, ამასთან დღითი დღე სულ უფრო მეტ დახმარებას უწევენ სოფლის მშრომელებს. მარტო გასულ წელს მათ მიწათმოქმედებს გაუწიეს 4.500 მანეთის ტექნიკური დახმარება, გარდა ამისა, სოფლის მშრომელებს უსასყიდლოდ გადასცეს 45 კუბური მეტრი მერქანი. სოხუმის, სამტრედიის, ზესტაფონის, გორის, გურჯაანის რკინიგზის სადგურების კლუბები, ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კულტურის სახლი რესპუბლიკის სოფლებში აწყობენ საშეფო კონცერტებს, აგიტკოლექტივების გამოსვლებს, დგამენ სპექტაკლებს.

მიწათმოქმედნიც დიდ დახმარებას უწევენ რკინიგზელებს. მაგალითად, სოფელ ყინწვისის მებაღეებმა თბილისის სავაგონო დეპოს ტერიტორიის გასამწვანებლად გამოგზავნეს 1700 ხის ნერგი და ბუჩქი, მათ საწარმოს მუშაკებს ჩამოუტანეს აგრეთვე ხილი.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ

ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲟᲕᲔᲧᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ Ი. ᲗᲝᲓᲣᲐ,

„კომუნისტის“ მიმდინარე წლის 16 მარტის ნომერში რუბრიკით — „სტყუა ეძლევა აუდიტორიას“ — დაიბეჭდა კრიტიკული შენიშვნა იმის გამო, რომ ზუგდიდის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ახალ კორპუსში ტექნიკური დანადგარების დამონტაჟება ჭიანურდება.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ერგეტიდან გვწერდნენ აგრეთვე, რომ პირუტყვს იპარავენ და რაიონის გარეთ ყიდიანო. (ამაზე „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილშიც იყო ლაპარაკი). რედაქციაში შემოსული სიგნალი ზომების მისაღებად პარტიის ზუგდიდის რაიკომს გადაეგზავნა.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ ქალაქის ცენტრში ააშენა კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის სამსართულიანი შენობა, რომლის ერთ კორპუსში გათვალისწინებული იყო 4.000 -ნომრიანი ახალი ავტომატური სატელეფონო სადგურის და ტექნიკური საშუალებების დამონტაჟება. საჭირო ელექტროტექნიკურ დანადგარ-მოწყობილობათა უქონლობის გამო სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა, შენობა კი უკვე მეოთხე წელია უქმად დგას.

შარშან, დეკემბერში სამინისტრომ დაამტკიცა კავშირგაბმულობის საშუალებათა ექსპლოატაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა, რომელიც რაიონული კვანძის ახალ შენობაში საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის, რადიოსადგურისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გადატანას ითვალისწინებს, მაგრამ ეს სამუშაოები ჯერაც არ დაწყებულა.

პარტიის ზუგდიდის რაიონულმა კომიტეტმა არაერთხელ აღძრა ეს საკითხი კავშირგაბმულობის სამინისტროს წინაშე, მაგრამ საქმე ჯერჯერობით ადგილიდან არ იძვრის.

რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების მიერ მიღებული ზომების შედეგად მხილებული არიან სოფელ ერგეტში პირუტყვის მოპარვაში ეჭვმიტანილი პირები. ამასთან დადასტურდა, რომ ქურდებს ხელს უწყობდნენ ხობის რაიონის სოფელ თორსის სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს აღმასკომის მუშაკები, რომლებიც ერგეტიდან ჩამოყვანილ პირუტყვს ყოველგვარი ცნობების გარეშე იღებდნენ. შემოწმების მასალები დართული აქვს სისხლის სამართლის საქმეს, რომელიც ამჟამად რესპუბლიკის პროკურატურაშია.

რაიონის ადმინისტრაციული ორგანოები განსაკუთრებულ ღონისძიებებს ანხორციელებენ ერგეტში პირუტყვის მოპარვის აღსაკვეთად.

ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲑᲔᲑᲣᲠᲘᲐᲜᲘ, ქალქვა, ნამესრალი, აბაშის წილი, რუსის წილი — თუ გაგიგონიათ ამ სოფლების სახელები, გაგივლიათ იქ? ალაზნის ველზე გაწოლილ ამ სოფლების მშრომელებს თავიანთი მოკრძალებული წვლილი შეაქვთ სამშობლოს კეთილდღეობის საქმეში, ლაგოდეხის რაიონის ეკონომიკაში, უპირველეს ყოვლისა, სოფელ ლელიანის წარმატებებში, რომლის საბჭოს შემადგენლობაშიც ისინი შედიან. თითოეულ ამ სოფელში 150-200 კომლი ცხოვრობს.

შარშან კოლმეურნეობამ გადამეტებით შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის, ყურძნის, ხორცისა და კვერცხის ძალი ვალდებულება. ბარაბრი მოსახლეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის მოცულობა, მშრომელთა ფულადი შემოსავალი. კარგი გზა, სინათლე, წყალი თუ სხვა სიკეთე გამრჯე ხალხისათვის ალალია, მაგრამ საწყენი ის არის, რომ სოფელში არის დოვლათი, ფულადი სახსრები, მასალა თუ მუშახელი, და მაინც არ კეთდება ის, რაც ხალხს აღელვებს და აწუხებს.

ლელიანის სასოფლო საბჭოს სესიებზე, აღმასკომის სხდომებზე, კოლმეურნეობის კრებებზე თუ კერძო საუბრებში არაერთხელ თქმულა, რომ ნიაღვრების ასაცილებლად ქალქვა-ნამესრალში უნდა გაიჭრას არხი, მოიხრეშოს გზები, მოეწყოს განათება, მაგრამ ნათქვამი ნათქვამად რჩება. ამის შესახებ ლელიანელ დეპუტატთა საყვედურებიც ხშირად გაისმოდა, მაგრამ ამაოდ.

ცნობილია, რაც უფრო ახლოს მიხვალ საქმესთან, მით უფრო უკეთ გაიცნობ. ლაგოდეხის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა სწორედ ასეთი დასკვნა გამოიტანა, როცა სოფელ ლელიანის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებისა და მომავალი ამოცანების საკითხს აღმასკომის გამსვლელი სხდომა მიუძღვნა. სხდომა სოფელ ლელიანის კოლმეურნეობის საქმეო დარბაზში გაიმართა. მას მოელი სოფლის აქტივი, დეპუტატები, და რაიონის იმ დაწესებულებათა და უწყებათა ხელმძღვანელები ესწრებოდნენ, რომელთა მიმართ ლელიანელებს სასაყვედურო ჰქონდათ.

ᲐᲛᲬᲐᲓᲔᲑᲔᲜ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲡ

ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐᲡ შეუდგა რესპუბლიკური პროფკავშირული კურსების მსმენელთა მორიგი ჯგუფი. აქ ასწავლიან ქალაქის უმაღლესი სასწავლებლების გამოცდილი სპეციალისტები, პასუხისმგებელი პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული მუშაკები. წლევანდელ სასწავლო წელს აქ მომზადდება გაიკვლის 13 ათასამდე კაცი — პროფკავშირის საქართველო, საფაბრიკო, ადგილობრივი კომიტეტების თავმჯდომარეები.

აღსანიშნავია ისიც, რომ საკითხი მათივე მონაწილეობით წინასწარ შეისწავლეს და კონკრეტული ღონისძიებანიც შეიმუშავეს.

სხდომაზე, სადაც საკითხი ლაგოდეხის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. მამამთავრიშვილმა წარმოადგინა, ყოველმხრივ განიხილეს რაიონის სასოფლო საბჭოს (თავმჯდომარე — ა. ჭუმბურიძე), ისე კოლმეურნეობის გამეობის (თავმჯდომარე—ე. კახეთელიძე) მუშაობა.

თუ სტატისტიკას დავუჯერეთ, განვლილ და მიმდინარე წელს ლელიანის სასოფლო საბჭოში გაიმართა 8 სესია, განიხილეს 11 საკითხი, 39 დეპუტატმა ჩაბარა ანგარიში, 9-ჯერ მოეწყო დეპუტატის დღე, მუდმივმა კომისიებმა თავიანთ სხდომებსა და აღმასკომებზე განსახილველად შეიტანეს 5-7, მათ შორის სოფლის მეურნეობისა და კეთილმოწყობის კომისიამ (თავმჯდომარე — ვ. კაპანაძე) 9 საკითხი. თითქოს შესასწავლი და განსახილველი აღარაფერი უნდა დარჩენილიყო, მაგრამ გაირკვა, რომ 1977 წლის 24 ივნისს ლელიანის მეთექვსმეტე მოწვევის საბჭოს პირველ სესიაზე მიღებული ამობრჩევლთა არაერთი განაწესი, რომელიც ეხებოდა საბავშვო ბაღის გაფართოებას, სამედიცინო ობიექტის გარემონტებას, სოფლის გზების შეკეთებას, ქუჩების განათებისა და შიმოფუსელოთა ობელისკის დამთავრებას, არ შესრულებულა. ამას ისიც დაემატა, რომ სამ თვეზე მეტია არ მუშაობს აბანო.

სხდომაზე გამოსულმა სოფლის აქტივის წარმომადგენლებმა და დეპუტატებმა ალ. ჭუმბურიძემ, ნ. ბარბაქაძემ და ლ. ღვალაძემ თქვეს, რომ აუთვისებელი დარჩა ბებერიანისა და ქალქვის დაწყებითი სკოლების შეკეთებისათვის გამოყოფილი 400-400 მანეთი, საბავშვო ბაღის რემონტისათვის — 414 მანეთი, თვით სასოფლო საბჭოს აღმასკომის შენობის შეკეთებისათვის — 1000 მანეთი.

— ეს საკითხები განხილული გვაქვს სესიაზე, აღმასკომზე, — ამბობს სოფლის თავკაცი ა. ჭუმბურიძე. ასეც არის, გადაწყვეტილებებიც აქვთ მიღებული, შესრულების მიმდინარეობაც შეამოწმეს, მაგრამ საქმეს ბოლო არ უჩანს.

— ლილიანის ბიბლიოთეკის გაფართოების ხარჯთაღრიცხვა სასოფლო საბჭოს აღმასკომმა ჯერ კიდევ 1972 წელს შეადგინა, საქმე კი ჯერჯერობით არ დაწყებულა, ასევე ითქმის ამბულატორიისა და საფოსტო განყოფილების შენობათა რემონტზე. ყოველივე ეს არა მარტო სოფელს უკარგავს ინტერესს, არამედ მუშაობასაც შეუძლებელს ხდის, თქვეს თავიანთ გამოსვლებში ამბულატორიის გამგემ მ. თაბაგარმა და საფოსტო განყოფილების უფროსმა რ. ჭიღლაძემ.

საქმე ის არის, რომ გადაწყვეტილებებს ვიღებთ, მაგრამ კონკრეტულად არ განვსაზღვრავთ, თუ ვის რა დაევალა, და რა ვადაში უნდა შესრულდეს. გაწეულ მუშაობაზე მოსმენილი მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების ანგარიშები, რომლებიც უხვად აქვს განხილული სასოფლო საბჭოს აღმასკომს, ასეთივე. ზოგადი და არაფრისმთქმელია.

ტრანსპორტის უქონლობის გამო საბავშვო ბაღებს. ცუდად ამარაგებენ ახალი რძით, — აღინიშნა აღმასკომის სხდომაზე. ეს საკითხი მაშინვე გადაწყდა, რადგან სიტყვა კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარემ ე. კახეთელიძემ აიღო. განა ამას სესია, ან აღმასკომის სხდომა უნდა სჭირდებოდეს? ანდა აფენის ფურნინდან გამომცხვარი პური ლელიანის სოფლის მაღაზიებში რომ მივიტანოთ, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს — სასოფლო საბჭოს ჩარევაა აუცილებელი?!

ამ და მრავალი სხვა მოუგვარებელი საქმის შესახებ სოფლის თავკაცებსა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს სამართლიანად უსაყვედურეს რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომიარემ ა. ჭანანავამ და სხდომის სხვა მონაწილეებმა.

ყველა იმ საკითხის გადაწყვეტა, რომლებიც სოფლის მესვეურთა კომპეტენციას აღემატება, გზების კეთილმოწყობა, განათება, საავტომობილო მარშრუტების დანიშვნა, საშენი მასალებით მომარაგება, და სხვა, კონკრეტულად განისაზღვრა და რაიონის სათანადო

აჭარის ასს რესპუბლიკის შექმნის 58-ე წლისთავი

ოქტომბრის მგის ქვეშ

1921 წლის 18 მარტს დიდი ოქტომბრის მზემ გაასხივოსნა მრავალტანჯული აჭარა. აჭარის მშრომელმა ხალხმა წითელი არმიის დახმარებით საბოლოოდ ჩამოიგდო მემამულეთა და კაპიტალისტთა ბატონობის უღელი, გაანდევნა ინტერვენტები და დამყარა საბჭოთა ხელისუფლება, ხოლო 1921 წლის 16 ივლისს საქართველოს რევკომის დეკრეტით შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. წარსულს ჩაბარდა მშრომელთა უუფლებობა, სიღატაკე და ექსპლოატაცია. ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანამმდევრულმა განხორციელებამ უზრუნველყო აჭარის ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარება. ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები აშენებენ თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას და სსრ კავშირის ხალხთა ერთიან ოჯახად თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენი სამშობლოს საერთო წარმატებებში.

საბჭოთა ხელისუფლებამ და ავტონომიურმა მმართველობამ უდიდესი შესაძლებლობანი შექმნეს აჭარის საუკუნო ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის, ეკონომიკისა და კულტურის დაჩქარებული განვითარებისათვის. აქ დიდი პოლიტიკური, სოციალურ-კულტურული გარდაქმნები განხორციელდა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი განვითარება პოვა მრავალდარგოვანმა სახალხო მეურნეობამ. შეიქმნა მრეწველობის ახალი დარგები, მწყობრში ჩადგა ათობით ქარხანა და ფაბრიკა, სოფლად სამუდამოდ დამკვიდრდა საკოლმეურნეო წყობილება.

საბჭოთა ხელისუფლების პირმშოა ნავთობგადამმუშავებელი, მანქანათსაშენებელი, გემთმშენებელი, ელექტროტექნიკური, საკონსერვო, ჩაის, ტყავის, რძის, სამკერვალო, ფეხსაცმლისა და მრეწველობის სხვა დარგები. ახლა მარტო ერთ დღეში უშვებენ გაცილებით მეტ პროდუქციას, ვიდრე წინათ მთელი მრეწველობა უშვებდა წლის განმავლობაში. 1921 წელს არსებული წვრილი შინამრეწველური საწარმოების ნაცვლად ახლა აჭარის ასს რესპუბლიკაში მოქმედებს 60-ზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო და გაერთიანება.

ი. უნგიაძე,
აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელების შედეგად ძირეული ცვლილებები მოხდა აჭარის სოფლებში.

რევოლუციამდელ აჭარაში ციტრუსების ბაღების ფართობი სულ 380 ჰექტარს შეადგენდა. ახლა ავტონომიური რესპუბლიკის ციტრუსის პლანტაციებს შვიდი ათას ჰექტარზე მეტი უკავია, ხოლო ციტრუსის ნაყოფის წარმოება 550-ჯერ გაიზარდა.

აჭარის მაღალი მთის სოფლების ეკონომიკაში მნიშვნელოვანი განვითარება პოვა მევენახეობამ, მეთამბაქოეობამ, მეხილეობამ, აგრეთვე მეცხოველეობამ, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ცნობილი დადგენილება მაღალმთიანი აჭარის ეკონომიკის განვითარების შესახებ.

ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის მზერას, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო სულ 380 ჰექტარს შეადგენდა. ახლა ავტონომიური რესპუბლიკის ციტრუსის პლანტაციებს შვიდი ათას ჰექტარზე მეტი უკავია, ხოლო ციტრუსის ნაყოფის წარმოება 550-ჯერ გაიზარდა.

აჭარის მაღალი მთის სოფლების ეკონომიკაში მნიშვნელოვანი განვითარება პოვა მევენახეობამ, მეთამბაქოეობამ, მეხილეობამ, აგრეთვე მეცხოველეობამ, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს ცნობილი დადგენილება მაღალმთიანი აჭარის ეკონომიკის განვითარების შესახებ.

ახორციელებენ რა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები მტკიცედ უტევენ ახალ მიჯნებს, პოულობენ ახალ რეზერვებს, კიდევ უფრო ფართოდ აჩაღებენ საერთო სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებას წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის მეოთხე წლისა და საერთოდ ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, და ახალ წარმატებებს აღწევენ კომუნისტური მშენებლობაში. (საქინფორმი).

ეკონომიკის დაქვეითება გარდაუვალია

ვაშინგტონი, 15 ივლისი. (საკადესის კორ.). **ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ პირველად აღიარა ოფიციალურად, რომ ქვეყანაში მიმდინარეობს ახალი ეკონომიკური დაქვეითება, რომლის თავდადა აცილებაც მას არ ძალუძს.** მილიონობით ამერიკელს ეს შემაშფოთებელი ახალი ამბები აცნობა თეთრი სახლის ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველომ, რომელიც ობიექტური ეკონომიკური მაჩვენებლების წინაშე იძულებული გახდა უყურადღებით გადაესინჯა ადმინისტრაციის 1979-1980 წლების საბიუჯეტო ფასები.

სამმართველოს მონაცემებით, ინფლაციის ტემპი 1979 წელს შეადგენს 10,6 პროცენტს, რაც 3,25 პროცენტით გადააჭარბებს მთავრობის მიერ ნავარაუდევს.

დაითხოვეს პარლამენტი

ლისაბონი, 16 ივლისი. (საკადესის კორ). პორტუგალიის პრეზიდენტმა გენერალმა ა. რამალიუ ეანეშმა გადაწყვიტა დაითხოვოს პარლამენტი და მოაწყოს შუალედური საყოველთაო არჩევნები. პრეზიდენტის აზრით, ღრმა და ხანგრძლივი მთავრობის კრიზისის დაძლევის ეს გზა შეესაბამება ქვეყნისა და პორტუგალიელი ხალხის ინტერესებს.

სახელმწიფოს მეთაურმა ეროვნული ტელევიზიით გამოსვლისას მიმართა ხალხს და ხაზი გაუსვა, რომ რესპუბლიკის პარლამენტის დათხოვნის გადაწყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც რევოლუციურ საბჭოსთან გაიარა კონსტიტუციით გათვალისწინებული კონსულტაციები.

ჩინეთი პროვოკაციებს არ წყვეტს

პანმუნჯონი, 16 ივლისი. (საკადესი). ჩინეთი პროვოკაციებს არ წყვეტს და კვლავ ამწვავებს დაძაბულობას ვიეტნამ-ჩინეთის საზღვარზე, იუწყება რადიოსადგური „ვიეტნამის ხმა“.

იმ დროს, როდესაც ჩინეთის მხარე პეკინში მიმდინარე ვიეტნამ-ჩინეთის მოლაპარაკებაზე კიუტად არიდებს თავს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციის კონსტრუქციული წინადადებების განხილვას, რომლებიც მიზნად ისახავენ სასწრაფოდ განხორციელდეს დაძაბულობის შენელების ღონისძიებანი საზღვარზე, ჩინეთის ჯარები განაგრძობენ პროვოკაციებს, რაც ყოველდღიურად ამწვავებს ვითარებას სასაზღვრო რაიონებში, აღნიშნულია ცნობაში.

მარტო უკანასკნელი რამდენიმე დღის მანძილზე ჩინეთის მხარემ პროვოკაციულად გამოიწვია 20 შეიარაღებული ინციდენტი. ეს იყო ჩინეთის დივერსანტთა და მზვერავთა რაზმების შეჭრა ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ვიეტნამის სასაზღვრო რაიონებისათვის მასირებული ცეცხლის დაშენა. ჩინეთის მხედრიონის აქციებს შედეგად მოჰყვა დიდი მსხვერპლი და მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

ჩინეთის მხარის ასეთი მოქმედება, ხაზგასმულია ცნობაში, მოწმობს, რომ ჩინეთი განზრახ ქმნის რთულ ვითარებას საზღვარზე. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობა და ხალხი ჩინეთის ხელისუფალთაგან მოითხოვონ შეწყვეტოს პროვოკაციები, რომლებიც ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ არის მიმართული.

ეგვიპტე-ისრაელის ურთიერთობის «ნორმალიზაციის» ტალღაზე

ვაშინგტონი, 15 ივლისი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატები პეკინთან ურთიერთობის „ნორმალიზაციას“ იმისთვის იყენებს, რომ განიმტკიცოს სამხედრო-სტრატეგიული პოზიციები შორეულ აღმოსავლეთში. ამას, კერძოდ, მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების ხელმწიფო მდივნის რ. ჰოლბრუკის გამოსვლა სენატის საგარეო საქმეთა ერთ-ერთ ქვეკომისიაში.

რ. ჰოლბრუკმა გულახდილად განაცხადა, რომ სწორედ „ჩინეთთან თანამშრომლობის ურთიერთობის“ განვითარების შედეგია, რომ ამჟამად „შეერთებული შტატების ზოგადი სტრატეგიული პოზიცია აღმოსავლეთ აზიაში დღეს უკეთესია, ვიდრე ოდესმე ყოფილა უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე“.

როგორც სახელმწიფო მდივნის თანაშემწის სხვა გამონათქვამებიდან იოკვეთა, ვაშინგტონი სრულად იყენებს შექმნილ ვითარებას იმისათვის, რომ გააფართოოს ამერიკის სამხედრო ყოფნა შორეულ აღმოსავლეთში.

ყოველი მხრიდან

16 ივლისი

რომი. ქალაქ ტარანტოში (აპულიის ოლქი) დამთავრდა იტალიელი კომუნისტების გაზეთის „უნიტას“ ფესტივალი. ფესტივალის ფარგლებში, რომელმაც ორ კვირას გასტანა, მოეწყო კომუნისტური პრესის ისტორიის, მშრომელთა უფლებებისათვის ბრძოლის ამსახველი მრავალი გამოფენა. გაიმართა კონფერენციები, სემინარები, ფილმების დემონსტრირება, მუსიკალური კოლექტივების გამოსვლები. ფესტივალზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეკონომიურად ჩამორჩენილი სამხრეთ იტალიის მდგომარეობის, უმუშევრობის წინააღმდეგ კომუნისტთა ბრძოლის ამოცანათა განხილვას.

ნიკოზია. სომოსას სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგ ნიკარაგუელი ხალხის ბრძოლას მხარი დაუჭირეს კვიპროსის ახალგაზრდობის ერთიანმა დემოკრატიულმა ორგანიზაციამ და სხვა ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა. მიღებულ რეზოლუციაში ისინი დადაჭრით გმობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიქტატორ სომოსას სხვა მფარველობის ცდებს ხელი შეუშალონ ნიკარაგუელი პატრიოტების გამარჯვებას. რეზოლუციებში ეს ორგანიზაციები სოლიდარობას უცხადებენ ამ ქვეყნის ეროვნულ-პატრიოტულ ძალებს.

ნიუ-იორკი. ორი ათასი დელეგატი შეიკრიბა ქალაქ ცინცინატში მოწყობილ ამერიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ქალთა ეროვნული პოლიტიკური კრების“ ყრილობაზე. ეს ყრილობა ორ წელიწადში ერთხელ იმართება. სამი დღის განმავლობაში ყრილობის მონაწილენი განიხილავენ ამერიკელი ქალების თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის პრობლემებს, აგრეთვე განსაზღვრავენ ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს 1980 წელს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მომავალი არჩევნების შესაბამისად. (საკადესი).

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის განცხადება

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა, განცხადება, რომელშიც გადაჭრით დაგმო ნიკარაგუის საქმეებში შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევის გეგმები.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეს ზრახვები ამერიკელმა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ნიკარაგუელი ხალხი გმირულად იბრძვის სომოსას რეპრესიული რეჟიმისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია აცხადებს, რომ სოლიდარობას უწევს ამ ბრძოლას და ყოველნაირად დაეხმარება ეროვნული აღორძინების დროებით დემოკრატიულ მთავრობას. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა, აღინიშნულია დოკუმენტში, ათწლეულების მანძილზე მხარს უჭერდა სომოსას დიქტატურას, ახლა კი აშკარად ცდილობს ხელი შეუშალოს ნიკარაგუაში რევოლუციური პროცესის განვითარებას. როგორც საიმედო წყაროებიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, ნიკარაგუაში არიან ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები და დაქირავებულები.

კომპარტია განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს ამერიკის შეერთებულ შტატებში განაღებულ პროპაგანდისტულ კამპანიას, რომლის მიზანი ის არის, რომ ყალბად გააშუქოს სომოსას მოწინააღმდეგეთა მოძრაობა და დროებითი მთავრობა. მოთხოვნა, რომ შეიცვალოს ამ მთავრობის შემადგენლობა და იგი გახდეს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მეტად ხელსაყრელი, ხაზგასმულია დოკუმენტში, აშკარად არღვევს ნიკარაგუელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებას. ამერიკის შეერთებული შტატები არ უნდა უკარნახებდეს ან სთავაზობდეს ნიკარაგუელ ხალხს, თუ როგორი მთავრობა უნდა ჰყავდეს დღეს და მომავალში. ჩვენ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისაგან მტკიცედ მოვითხოვთ: არავითარი ჩარევა ნიკარაგუის საქმეებში.

ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტია მოითხოვს, რომ შეერთებულმა შტატებმა დაუყოვნებლივ შეწყვიტოს სამხედრო, დიპლომატიური და პოლიტიკური კავშირურთიერთობა სომოსას რეჟიმთან და ცნოს ეროვნული აღორძინების დროებითი დემოკრატიული მთავრობა.

ფოტო ამხილებს

ისრაელის მიერ ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე ფართოვდება ეგვიპტე-ისრაელის სეპარატული ხელშეკრულებისა და ტელ-ავივის იმ ზრახვების საწინააღმდეგო საპროტესტო მოძრაობა, რომ თავს მოახვიოს პალესტინის არაბ ხალხს მისთვის საზიანო „ადმინისტრაციული ავტონომიის“ გეგმა.

ისრაელის ხელისუფალთა რეპრესიების მიუხედავად, მდინარე იორდანის დასავლეთის ნაპირისა და ღაზის სექტორის მოსახლეობა გაბედულად უჭერს მხარს პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციას, რომელიც ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ იბრძვის, მოითხოვს, რომ ისრაელმა მთლიანად გაიყვანოს ჯარები ყველა ოკუპირებული ტერიტორიიდან, გააუქმოს გასამხედროებული დასახლებანი და ცნოს პალესტინის არაბი ხალხის კანონიერი ეროვნული უფლებები, მათ შორის საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება.

ხურათზე: მდინარე იორდანის დასავლეთის ნაპირზე მდებარე ნაბლუსის ქუჩები მოსახლეობის ისრაელის საწინააღმდეგო გამოსვლების დროს.

ასოშიეიტედ პრეს-საკადესის ფოტო.

ინფორმაციის თეორია

— სხვადასხვა ციურ სხეულთა ზედაპირის ფოტოგრაფიათა ჯოსმოსიდან მკაფიო გადმოცემა, დედამიწაზე მაღალხარისხოვანი მიღება და დამუშავება— ყველაფერი ეს ერთი-ერთი უდიდესი მიღწევაა თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების ქვედარგის — ინფორმაციის თეორიისა, რომლის წარმატებები და ამოცანები განიხილა თბილისში გამართულმა ამ სამეცნიერო დისციპლინის დარგის სპეციალისტთა საერთაშორისო სიმპოზიუმმა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სამეცნიერო ფორუმის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნ. ი. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი ცენტრის დირექტორმა, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორმა ნ. ვახანიამ.

ინფორმაციის თეორიისა და მისი პრაქტიკული გამოყენების სხვადასხვა ასპექტის განხილვაში მონაწილეობდნენ ცოდნის ამ დარგში მსოფლიოს ყველა წამყვანი სამეცნიერო სკოლის წარმომადგენლები. სასიხარულოა, რომ ესოდენ წარმომადგენლობითს ფორუმზე მოხსენებებისა და ინფორმაციების დიდი სერიით გამოვიდნენ ქართული მათემატიკური სკოლის წარმომადგენლები.

აბასთუმანი: საბჭოთა კავშირ-ამერიკის ექსპერიმენტი

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის რაიონში დაიწყო პირველი დიდი მასშტაბის საბჭოთა კავშირ-ამერიკის ექსპერიმენტი, რომლის მიზანია ატმოსფეროს გაჯუჯყიანების შესწავლა. ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნების კონტროლის სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის, საქართველოსა და ლიტვის მეცნიერებათა აკადემიების (მეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტებთან ერთად ექსპერიმენტში მონაწილეობენ ვაშინგტონის შტატის უნივერსიტეტისა და ამერიკის შეერთებული შტატების გარემო ბუნების დაცვის საგანტოს მეცნიერები.

სამუშაოთა ორგანიზაცია დაევალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას და საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემო ბუნების კონტროლის სამმართველოს.

აბასთუმნის მაღალი მთის რაიონი შემთხვევით როდი შეარჩიეს დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული ექსპერიმენტის მოსაწყობად: ეს პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო სუფთა ზონაა. აქ არ არის სამრეწველო საწარმოები და ჰაერის გაჯუჯყიანება პრაქტიკულად ნულის ტოლია. ეს კი მეცნიერებს შესაძლებლობას მისცემს შეისწავლონ უმცირესი ნაწილაკებისა და გამაჯუჯყიანებელი მინარევების წარმოშობისა და ატმოსფეროში ევოლუციის პროცესები.

მკვლევარებმა უნდა შეისწავლონ ატმოსფეროს გაჯუჯყიანების ბუნებრივი პროცესები. მხოლოდ მათს მექანიკაში ჩაწვდომის შემდეგ შეიძლება დაისვას საკითხი სამრეწველო გაჯუჯყიანებათა კონტროლის სისტემისა და მათთან ბრძოლის შესახებ. ცნობილია, რომ საწარმოთა „გამონაფრქვევი ნარჩენები“ რამდენიმე დღეს ძლებენ ჰაერში. მაგრამ ამ რამდენიმე დღეში მათ შეუძლიათ ათასობით კილომეტრი მანძილი გაიაროონ. ასეთი „მოგზაურობის“ შედეგები კი ფრიად საეჭვოა. მაგალითად, ნორვეგიაში არ არის სამრეწველო ინდუსტრიის „ჯუჯყიანი“ სახეობანი, მაგრამ დასავლეთ ევროპიდან მონახბერ ქარს ხშირად მოაქვს ეგზიტრდოვანი წვიმა. ნორვეგიელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს ამ მრისხანე მოვლენასთან ბრძოლის ღონისძიებანი. საქმე ის არის, რომ ჯერჯერობით არ არსებობს საერთაშორისო კანონმდებლობა, რომლის თანახმადაც შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს ქვეყანა თავისი ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ჰაერისა და წყლის აუზების გაჭუჭყიანებისათვის.

ქიმიკოსებმა თითოეულ კუბურ მეტრ ატმოსფერულ ჰაერში აღმოაჩინეს 500-მდე ქიმიური ნაერთი, მათ შორის შხამიანიც. მეცნიერებმა მიზნად დაისახეს ჩასწვდომოდნენ თითოეული მათგანის წარმოშობას და ეპოვათ მისგან თავდაცვის საშუალებები. ამიტომაც გადაწყვიტეს აბასთუმნის ატმოსფერო გამოეყენებინათ პლანეტის ჰაერის სიწმინდის განსაზღვრის ეტალონად.

ტრაიენგლ-პარკის სამეცნიერო ცენტრში ამერიკელი მეცნიერები საბჭოთა კოლეგებთან ერთად შეუდგნენ ექსპერიმენტის დაყენებას, რომლის მიზანია შეისწავლოს ატმოსფეროში გაფრქვეული სამრეწველო ნარჩენების გავრცელება და ტრანსფორმაცია. სპეციალურ აეროდინამიკურ მილში ამოდელებენ ბუნებრივ მოვლენებსა და გაჭუჭყიანების წყაროებს.

გაისად ორივე ქვეყნის სპეციალისტები შეიკრიბებიან საბჭოთა კავშირში აბასთუმნის ექსპერიმენტის შედეგების განსახილველად. (საქინფორმი).

□

გაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო ორგანიზაციების პარტიული აქტივის კრება, რომელშიც განიხილა აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების საქმეში.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ.

გამართულ კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი გ. დიასამიძე, პარტიის ხელვაჩაურის, შუახევის, ხულოს რაიკომების პირველი მდივნები ს. ინაიშვილი, მ. ჩაგალიძე, ნ. თამაზაშვილი, ბათუმის ი. ბ. სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ოპერატორი ტ. დოლიძე, ქობულეთის რაიონის სოფელ ლეღვის კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. კობალაძე, საქართველოს საზღვაო სანაოსნის პარტკომის მდივანი ე. ფათლაძე, გაზეთ „სოვეტსკაია აჯარიას“ რედაქტორი ვ. მარღანიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი დ. ბალაძე, საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხსმგებელი მდივანი, შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატი ფ. ხალვაში, აჭარის ასსრ განათლების მინისტრი ვ. წულუკიძე და სხვები.

გაიმართა საქმიანი, პრინციპული სკკპ-ბაასი მშრომელთა კომუნისტური აღზრდის იმ ამოცანების შესახებ, რომლებიც დასახულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, საქართველოს პარტიული აქტივის კრების გადაწყვეტილებით. გამოსულმა ამხანაგებმა შემოიტანეს კონკრეტული წინადადებანი აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის შესახებ. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მთელი იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მიზანმიმართულ, შემტევ ხასიათს უნდა ატარებდეს, რომ მის მუშაობაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებანი.

ავტონომიურ რესპუბლიკაში წარმატებით მიმდინარეობს ადამიანთა გონებასა და გულზე ზემოქმედების ახალი, უფრო ეფექტიანი ფორმების, მეთოდებისა და საშუალებების ძიება. პარტიის საოლქო კომიტეტში მუშაობს იდეოლოგიური კომისია, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და იდეოლოგიური დაწესებულებების მეცადინეობის ეფექტიანობა.

ახალი ამოცანების დონეზე

ბულებების მეცადინეობის კოორდინაცია მშრომელთა კომუნისტური აღზრდის სფეროში. იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების პრობლემებზე მუშაობს საბჭო, რომელიც საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებასთან შეიქმნა, უკანასკნელ ხანს გააააქტიურა მუშაობა საზოგადოებრივი აზრის საბჭომაც. ინერგება ერთიანი პოლიტდღეების მოწყობა, რომლებშიც მონაწილეობენ ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქ ბათუმისა და აჭარის სასოფლო რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები.

კრების მონაწილეებმა თვითონ გამოსულებში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ იდეოლოგიური მუშაობის სფეროში მომხდარმა დადებითმა ძვრამ დიდად შეუწყო ხელი წარმატების მიღწევას ეკონომიკის დარგში. მაგრამ წინ დიდი ამოცანებია. და ეს ამოცანები, აღინიშნა აქტივის კრებაზე, მოითხოვენ კიდევ უფრო ამაღლდეს მთელი იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროში. ორატორებმა ილაპარაკეს ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე.

კრებაზე პრინციპულად განიხილეს ნეგატიური მოვლენების, განსაკუთრებით, კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. აღინიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციები უფრო მეტად ებრძვიან წარსულის მავნე გადმონაშთების გამოვლინებათა ფაქტებს, მათს კონკრეტულ მატარებლებს, და ნაკლებად სწვდებიან თვით პრობლემის არსს, არ ცდილობენ ნეგატიური მოვლენების წარმომშობი მიზეზების თავიდან აცილებას, საკმარის მუშაობას არ ეწევიან მათ წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით დასახული ამოცანები, საქართველოს პარტიული აქტივის კრების გადაწყვეტილებები, აღნიშნეს კრების მონაწილეებმა, მოითხოვენ მნიშვნელოვნად ამაღლდეს იდეოლოგიური მუშაობის ყველა უბნისადმი პარტიული ხელმძღვანელობის თვისებრივი დონე.

აქტივის კრებამ მიიღო დადგენილება და იმ ძირითად ორგანიზაციულ და მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა გეგმა, რომლებიც ხელს შეუწყობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ დადგენილების განხორციელებას.

□

გაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც დაამტკიცა პარტიული აქტივის კრების დადგენილება და პარტიის საოლქო კომიტეტის იმ ძირითად ორგანიზაციულ და მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებათა გეგმა, რომლებიც ხელს შეუწყობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ მიღებული დადგენილების განხორციელებას.

კრებისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. გავრილოვი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ვ. ქარუმიძე. (საქინფორმი).

ბაიმარნა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო ორგანიზაციების პარტიული აქტივის კრება, რომელშიც განიხილა აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების საქმეში.

ოლიმპიადა

ნიუ-იორკი, 16 ივლისი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა, განცხადება, რომელშიც გადაჭრით დაგმო ნიკარაგუის საქმეებში შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევის გეგმები.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეს ზრახვები ამერიკელმა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ნიკარაგუელი ხალხი გმირულად იბრძვის სომოსას რეპრესიული რეჟიმისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის. ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია აცხადებს, რომ სოლიდარობას უწევს ამ ბრძოლას და ყოველნაირად დაეხმარება ეროვნული აღორძინების დროებით დემოკრატიულ მთავრობას. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა,

ОБЪЕКТИВНОСТЬ, ЗАЩИТА, ПОЛИТИКА

Грузинская коммерческая комиссия, которая была создана в прошлом году, в ходе своей деятельности выявила ряд нарушений в ходе проведения экзаменов в высшие учебные заведения Грузии. Комиссия обратилась к общественности с просьбой сообщить о нарушениях, которые были допущены в ходе проведения экзаменов в высшие учебные заведения Грузии в 1978 году. Мы получили ответ от ректора Грузинского политехнического института, доктора технических наук, профессора Г. Ниаурадзе.

Ректор Грузинского политехнического института, доктор технических наук, профессор Г. Ниаурадзе, в ответе на запрос комиссии сообщил, что в ходе проведения экзаменов в высшие учебные заведения Грузии в 1978 году, по его мнению, не было допущено нарушений. Ректор Грузинского политехнического института, доктор технических наук, профессор Г. Ниаурадзе, в ответе на запрос комиссии сообщил, что в ходе проведения экзаменов в высшие учебные заведения Грузии в 1978 году, по его мнению, не было допущено нарушений.

Ректор Грузинского политехнического института, доктор технических наук, профессор Г. Ниаурадзе, в ответе на запрос комиссии сообщил, что в ходе проведения экзаменов в высшие учебные заведения Грузии в 1978 году, по его мнению, не было допущено нарушений.

Ректор Грузинского политехнического института, доктор технических наук, профессор Г. Ниаурадзе, в ответе на запрос комиссии сообщил, что в ходе проведения экзаменов в высшие учебные заведения Грузии в 1978 году, по его мнению, не было допущено нарушений.

Ректор Грузинского политехнического института, доктор технических наук, профессор Г. Ниаурадзе, в ответе на запрос комиссии сообщил, что в ходе проведения экзаменов в высшие учебные заведения Грузии в 1978 году, по его мнению, не было допущено нарушений.

Ректор Грузинского политехнического института, доктор технических наук, профессор Г. Ниаурадзе, в ответе на запрос комиссии сообщил, что в ходе проведения экзаменов в высшие учебные заведения Грузии в 1978 году, по его мнению, не было допущено нарушений.

Ректор Грузинского политехнического института, доктор технических наук, профессор Г. Ниаурадзе, в ответе на запрос комиссии сообщил, что в ходе проведения экзаменов в высшие учебные заведения Грузии в 1978 году, по его мнению, не было допущено нарушений.

Ректор Грузинского политехнического института, доктор технических наук, профессор Г. Ниаурадзе, в ответе на запрос комиссии сообщил, что в ходе проведения экзаменов в высшие учебные заведения Грузии в 1978 году, по его мнению, не было допущено нарушений.

Ректор Грузинского политехнического института, доктор технических наук, профессор Г. Ниаурадзе, в ответе на запрос комиссии сообщил, что в ходе проведения экзаменов в высшие учебные заведения Грузии в 1978 году, по его мнению, не было допущено нарушений.

Ректор Грузинского политехнического института, доктор технических наук, профессор Г. Ниаурадзе, в ответе на запрос комиссии сообщил, что в ходе проведения экзаменов в высшие учебные заведения Грузии в 1978 году, по его мнению, не было допущено нарушений.

Ректор Грузинского политехнического института, доктор технических наук, профессор Г. Ниаурадзе, в ответе на запрос комиссии сообщил, что в ходе проведения экзаменов в высшие учебные заведения Грузии в 1978 году, по его мнению, не было допущено нарушений.

სცენაზეა თანამედროვეობა

ალ. ჩხაიძის „შთამომავლობა“ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი

უკვე ისტორიას ეკუთვნის ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებელი თაობა. ათ წელზე მეტ ხანს გაგრძელდა ვარსკვლავთცვენა. მათი უკანასკნელი გამონათება მარჯანიშვილის თეატრში მოხდა. აქ დასრულდა რუსთველთა სახელგანთქმული მსახიობების ა. ხორავასა და აკ. ვასაძის დიდი არტისტული ცხოვრება; გ. ლორთქიფანიძეს ხვდა წილად გამორჩეულად ეზრუნა ქართული სცენის დიდოსტატებზე. ისტორიულად მეტად ფასეულია რეჟისორის ეს დამსახურება!

ამ დიდი აქტორული თაობიდან მხოლოდ ვ. ანჯაფარიძე სდგას სცენაზე. მის დიდ ტალანტს ოთხმოცი წლის შემდეგაც არ დაუკარგავს არტისტული ელვარება. აქ ერთმანეთს შეერწყა და შეენივთა ისტორიაცა და თანამედროვეობაც, სცენის ცოცხალი კლასიკოსის სიბრძნეცა და შემოქმედის თანადროული ახალგაზრდული სულიც. ვ. ანჯაფარიძემ იცის სცენური მარადიული ახალგაზრდობის საიდუმლოება. თეატრალურ ნოვაციათა ათასგვარ დინებაში კლასიკური სისადავით იკვეთება მისი მომხიბვლელი ხატი. ქამთასვლას მოსდევს არტისტული ფერიცვალება და ეს შინაგანი დინამიზმი ერთი ძლიერი არტისტული ენერგიითაც კი აცოცხლებს მთელ სახეს.

დიდხანს ელოდა შვილიშვილის დაბრუნებას ვ. ანჯაფარიძის ფატი გურიელი და, როცა ამ ქამს შეესწრო, ისეთი ენერგიულობა მოძრაობა გააკეთა, თითქოს სული გაექცაო (შესახვედრად ვერ დაელოდა მოხუცის ნაბიჯს!). საოცარი სიმსუბუქე შეიძინა მისმა წინწახრილმა, სულსწრაფმა სხეულმა, ბედნიერი წუთის ღრმა განცდა გამოხატა არტისტის მოძრაობამ, ღიმილმა, თვალებდან წამოსულმა ღვთაებრივმა შუქმა. როგორ ზუსტი და ლაკონიურია აქ ყველაფერი!

ვ. ანჯაფარიძის ფატი გურიელის თვალით არის დანახული ი. ტრიპოლსკის გაიოზის ოჯახი. ეს არ არის მარტო წარსულიდან მზერა. იგი რაღაც უფრო რთული პლანის შინაგანი ხედვაა, მეტის მომცველი ფენაა, რომელიც ოჯახის მორალურ-ეთიკური პრობლემებისაკენ არის მიპყრობილი, ცდილობს ამ ფართო სამყაროდან წარმოაჩინოს ყველა დროისთვის უკვდავი მოტივები, იპოვოს ადამიანთა შორის დარღვეული ჰარმონიის მიზეზები. ასეთი კი შეიძლება იყოს ძველშიც და ახლშიც. ძველისა და ახლის ამ გზასაყარზე დგას ვ. ანჯაფარიძის ფატი გურიელი, მაგრამ იგი მარტო არ რჩება დიდ ზნეობრივ ბრძოლაში. გენეტიკური კავშირი ბებისა და შვილიშვილს შორის თავს იჩენს შეხედულებათა ერთიანობაში ადამიანთა ურთიერთობაზე, კაცურ კაცობაზე, ჰუმანიზმზე, ოჯახზე. და აი იწყება ტრადიციულის (ფატი გურიელი) და თანადროულის (ნ. მგალობლიშვილის გურამი) ერთობლივი, უკომპრომისო ბრძოლა ადამიანთა ყოფაში, მათ მორალში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოქმნილ ფარულ და აშკარა მანკიერებათა წინააღმდეგ. ტრადიციულისა და ახლის ეს დაყოფა პირობითია. იგი თავის არსით სინთეზირებულია და ზუსტად არის მინიშნებული ძველიდან ახლის წარმოქმნის დიალექტიკა.

ასეთია ალ. ჩხაიძის პიესის „შთამომავლობის“ იდეური ხაზრევი. მის ფონზე იშლება სხვადასხვა მოტივი. ისინი ზოგჯერ ერთმანეთს კვეთავენ, ურთიერთს ერწყმიან.

დრამატურგი და თეატრი არ არბილებენ ბრძოლის სიმწვავეს. გულახდილად და პირდაპირ დგანან მაყურებლის წინ. უკომპრომისო დისკუსიაში თავს იჩენს სხვადასხვა მოტივი, იბადება პარალელები, ასოციაციები. წარმოდგენის დამდგმელი გ. ლორთქიფანიძე ზუსტად გრძნობს მთელ ამ სინამდვილეს, მოცემული ოჯახის მიღმა დარჩენილ ადამიანთა რთულ სამყაროს. განზოგადოების ძალას იძენენ არა მარტო ვ. ანჯაფარიძისა და მ. ჯაფარიძის გურიელი, ნ. მგალობლიშვილის გურამი, არამედ სხვებიც, იქნება ეს გ. ბერიკაშვილის ბონდო თუ თ. სხირტლაძის მაგდა, ი. ტრიპოლსკის გაიოზი, ჯ. მანიავას ლევანი, მ. ბებურიშვილის დარიალოვი, მ. გოდერძიშვილის ლამარა თუ დებიუტანტის ნ. ხომასურიძის ნატო. მსახიობთა ამ საინტერესო ანსამბლში სხვადასხვაგვარად იკითხება თითოეულის არტისტული მიღწევა თუ ნაკლი, ზოგჯერ იგი გაპირობებულია როლების ხასიათითაც, მაგრამ დრამატურგისა და თეატრის თანადროული იდეურ-მხატვრული პოზიცია სპექტაკლს ანიჭებს ფართო საზოგადოებრივ ეღერადობას. იგი მაყურებელს განაწყობს ფარისევლობისა და უზნეობის სამხელად, იწვევს ჰუმანურ გრძნობებს, დამდგმელის გ. ლორთქიფანიძისა და რეჟისორის ნ. ქუთათელაძის გადაწყვეტა სადა და გამომსახველია. რეალისტური სიმართლით მოაზრებულ სცენებში მოძებნილია ზუსტი მხატვრული აქცენტები, რომელთა მთლიანობა ნათლად ავლენს სპექტაკლის მოქალაქეობრივ პოზიციას.

ვ. ანჯაფარიძის ფატი გურიელის შესრულებაში იგრძნობა რაღაც გაუმხელი სევდა ძველი და კეთილი ოჯახის ნგრევის გამო. თვალსა და ხელს შუა მოხდა მისი ოჯახის ფერისცვალება. დიდი ტაქტითა და ზომიერებით გაიელვებენ ხოლმე წარსულის მოგონებები. მოსაგონარი კი ბევრი აქვს. ფონი, რომელშიც მას უხდება ცხოვრება ერთობ მდიდრად ამყოლავნებს ფატი გურიელის კავშირს წარსულთან. მხატვრები (ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი, ი. ჩიკვაიძე) საამისოდ კარგ ატმოსფეროს ქმნიან.

მტკივნეულია ადამიანთა შორის ახალი, ჰარმონიული ურთიერთობის ფორმირების პროცესი. იგი გაიელვის ადამიანთა გულებში, მათი სულის სიღრმეებში, საჭიროდ ხდება მსხვერპლშეწირვა, რათა სხვები გონს მოეგონ, შეიცნონ საკუთარი შეცდომები და ერთი ტკივილით გაერთიანებულებმა განაგრძონ ცხოვრება წინააპრთა სურათების შორის, რომელსაც ფატი გურიელიც შეუერთდა.

სიკვდილის წინ ფატი გურიელმა ერთხელ კიდევ მიიწვია „საოჯახო საბჭო“ მრგვალ მაგიდასთან. უნდა გარკვეულიყო ბევრი რამ, ზნეობრივი განწმენდის ფუნქცია უნდა შეესრულებინა „სხდომას“. დრამატურგი ა. ჩხაიძე ოსტატურად ქმნის მთელ ამ სიტუაციას, ზუსტად განსაზღვრავს მოქმედ გმირთა ადგილსა და როლს პიესის სტრუქტურაში, პიესა კომპოზიციურადაც კარგად არის მოაზრებული და სცენაზე იქმნება პირობები არტისტული ოსტატობის გამოვლენისა.

სპექტაკლის საერთო გადაწყვეტაში განსხვავებულად იკითხება ვ. ანჯაფარიძისა და მ. ჯაფარიძის გურიელი მოხუცებულობის ეამსაც ინარჩუნებს ახალგაზრდულ იერსახეს, შინაგანად მაინც უკვე მოღლილია. გურიელის გარეგნულ ფორმას და შინაგან ცხოვრებას შორის დარღვეულია. მთლიანობა, მოდუნებულია მისი მოქმედების რიტმი. მსახიობი შინაგანად გარდაისახა.

მაყურებელი ოვაციით ხვდება გ. ბერიკაშვილის გამოჩენას სცენაზე. მსახიობმა იპოვა თვითმყოფადი ხასიათის ბონდო ლანჩავას არტისტული ფორმა და მისი შინაგანი ბუნების გულწრფელი მოტივაცია. მისი გმირის მოძრაობა, სიარულის მანერა, ფრაზის პაუზებითა და მოკრძალებით წარმოთქმის კილო, ფარული სევდა, რომელიც ყველაფერს შეგუებული, გამოუსწორებელი ადამიანის ნიღაბს იქით იგრძნობა, მაყურებლის ერთგვარ თანაგრძნობასა და ფარულ გულისტკივილს იწვევს. გ. ბერიკაშვილს არც მხატვრული ტექტი აკლია და არც მაღალი მოქალაქეობრივი გრძნობა. იგი ოსტატურად ხატავს ბონდოს სახეს — როგორც მსხვერპლს საზოგადოების გარკვეული ნაწილის გულგრილობისა.

ერთობ ბევრი მსხვერპლის გაღება გახდა საჭირო, რომ სცენაზე დანგრეულიყო ურთიერთობათა ერთი ფორმა და მის ნაცვლად ახლის წარმოქმნის შესაძლებლობა გვეგრძნო. ჯ. მონიავას ლევანი თბნდათან და ზუსტად ავლენს თვითგანახლების რთულ პროცესს. ეს არის საკუთარი თავის შეცნობის მტანჯველი გზა, მისი არსის ამოცნობაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ნ. მგალობლიშვილის უკომპრომისო და მართალმა გმირმა. ნ. მგალობლიშვილის გურამი არ არის მოარული, ფრთიანი ანგელოზი, ყველას რომ სიკეთისაკენ უხმობს. იგი ცხოვრების შვილია, მისი ტკივილია, მისი გადაუჭრელი წინააღმდეგობების პირშია. ეს თავისებურად უხეში ძალაცაა, სიმართლესავით. დაუნდობელია, პირდაპირია.

მარჯანიშვილის თეატრმა თავის საიუბილეო სეზონში ჩვენი თანამედროვეობისადმი მიძღვნილი ორი ქართული ორიგინალური პიესა დადგა. თ. ჭილაძის პოეტური „ბუდე მეცხრე სართულზე“ და ალ. ჩხაიძის „შთამომავლობა“.

თეატრი ყურადღებით მოეკიდა ე. წ. დუბლიორების პრობლემასაც. სპექტაკლში ფატი გურიელს სამი შემსრულებელი (ვ. ანჯაფარიძე, მ. ჯაფარიძე, მ. მახვილაძე) ჰყავს და ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მხატვრულ სახეებს ქმნიან. ვითომყოფადობით გამოირჩევა მ. ეგუტიას დარიალოვისა და ა. მიქაძის ბონდო ლანჩავას შესრულება. არც ერთი დუბლიორი ზუსტი „დუბლიკატი“ არ არის პირველისა. ისინი ქმნიან თავიანთ მხატვრულ სინამდვილეს და ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს!

თეატრი ეძებს თანადროულ პრობლემებს, სვამს მწვავე სოციალურ, მორალურ-ეთიკურ საკითხებს. ძიებათა ეს პროცესი უაღრესად რთულია; მრავალპლანიანი და ზიზაგურია. თეატრის ცხოვრებაში დროდადრო წამოიჭრება თეატრის პოეტიკის, დასის განახლების ახალი რეჟისორული და აქტიორული ძიებების საკითხები. მსგავსად ადამიანთა ცხოვრებისა, თეატრს არასდროს არ მოაკლდება თავსატეხი, ათასი საზრუნავი და საფიქრალი. ოღონდ ეს არის, რა გზასაც უნდა ადგეს იგი, მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ „ჩვენმა ქართულმა სცენამ რაც შეიძლება ხშირად გაგვტაროს თვალწინ ჩვენის ცხოვრების ხატი“ (ილია). ეს გზა აირჩია კ. მარჯანიშვილის თეატრმა დასაბამიდანვე და მისი ერთგულია დღესაც.

ვასილ კიკნაძე.

სურათზე: ფატი გურიელი — ვ. ანჯაფარიძე.

მ. ბაბოვის ფოტო.

ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიის ნახევარზე მეტი ტყის მასივებს უკავია, სადაც წიწვოვან და ფოთლოვან ჯიშებთან ერთად ისეთი იშვიათი ხეებიც ხარობს, როგორიც არის რელიქტური ფიჭვი, ბზა, რცხილა, მუხა და წაბლი. საქართველოს ცნობილი კურორტების ათასობით მინერალური წყარო შესანიშნავ დაბმარებას უწევს მედიკოსებს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ბრძოლაში. რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეებს დღეენადაგ აკონტროლებენ.

სურათზე: რიწის ტბაზე გახსნილია სოხუმის ზონალური ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის მუდმივი საგუშაგო. აქ დღე-ღამეში ორჯერ იღებენ წყლის სინჯს, უნიკალური წყალსატევის სისუფთავეს გულდასმით ადევნებენ თვალს მეცნიერი მუშაკები. ამ სურათზე აღბეჭდილია ობსერვატორიის დირექტორი, ინჟინერ-მეტეოროლოგი ა. ალანია (მარჯვნივ) და ჰიდრომეტეომეთვალყურე ე. გოგრიჭიანი ტბის წყლის ანალიზის დროს.

ი. ჯოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

„ეზოში ავი ძაღლია“

ცნობილი ქართველი დრამატურგის კიტა ბუაჩიძის სამოქმედებანი ტრაგიკომედია „ეზოში ავი ძაღლია“, მტკიცედ დამკვიდრდა ქართული და რუსული თეატრების რეპერტუარში. პიესამ ახლახან ფოთის ვ. გაუნის სახელობის სახელმწიფო თეატრში დაიწყო სცენიური ცხოვრება. სპექტაკლის დამდგმელი თეატრის მთავარი რეჟისორი გ. სებისკვერაძე, მხატვარი — გ. ლაფაური, მუსიკალური გაფორმება — კ. სვანიძისა.

პიესის მთავარი გმირის — ვანო ლაითაძის როლს ოსტატურად ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. ებრალიძე.

სპექტაკლში დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს როგორც მთავარი, ასევე ეპიზოდური როლების შემსრულებელმა მსახიობებმა.

კ. კომახიძე.

უტევს ნახევარდაცვა

გუშინ თბილისში, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე წინასწარ გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა ვაჭრების ჩემპიონატის მე-19 ტურის მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტს“ შორის, რომელიც 13 აგვისტოსათვის იყო დანიშნული.

ჩემპიონი მოჭადანზე უჩვეულო შემადგენლობით გამოვიდა (თავდამსმელის ფუნქციები მ. მაჩაიძეს და დარასელიას ჰქონდათ დაკისრებული), მაგრამ ამის მიუხედავად მოწოდების სიმაღლეზე ჩაატარა შეხვედრა და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0. ბურთები გაიტანეს ჩივაძემ და დარასელიამ.

„დინამოს“ რიგებში იყვნენ: გოგია, სულაქვაძეიძე, კანთეტაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე (კაკილაშვილი), მინაშვილი (გ. მაჩაიძე), ჩივაძე, კობალეიშვილი.

ახლა თბილისელები საკუთარ მინდორზე 31 აგვისტომდე აღარ გამართავენ მატჩს. მანამდე ისინი მონაწილეობას ვიიღებენ სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადაში, რომელიც 5 აგვისტოს დამთავრდება. ამის შემდეგ განახლდება ჩემპიონატი და თბილისის დინამოელები ზედიზედ 4 გასვლითს მატჩს გამართავენ. 8 აგვისტოს მოსკოვში შეხვდებიან „ტორპედოს“, 17 აგვისტოს როსტოვში — ადგილობრივ არმიელს, 23 აგვისტოს ბაქოში — „ნეფთჩის“, 27 აგვისტოს ტაშკენტში — „ფახთაქორს“, ხოლო 11 აგვისტოს სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალში შეხვდებიან მოსკოელს „დინამოს“.

დამარცხდნენ, მაგრამ ლიდერობენ

უმაღლესი ლიგის რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მომდევნო ტურში თბილისის „ლოკომოტივი“ მოსკოვში ასპარეზობდა სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდთან და დამარცხდა — 15:30. სხვა მატჩები ასე დამთავრდა „ფილი“ (მოსკოვი)-„ავიატორი“ (კიევი) — 24:9, „სლავა“ (მოსკოვი)-„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 9:3. ახლა გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: 1. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — 20 ქულა, 2. „სლავა“ — 18, 3-4 სსა და „ფილი“ — 17-17, 5. „ავიატორი“ — 14, 6. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 10.

კომპიუტერის დახმარებით...

ჰოლანდიის დედაქალაქ ამსტერდამში დამთავრდა მოშაშეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრების ხუთმა მონაწილემ მსოფლიოს ექსჩემპიონებმა შჩეგოლევმა (სსრკ) და ვირსმამ (ჰოლანდია), კორევსკიმ (სსრკ), იანსენმა და ვან დერ ვალმა (ორივე ჰოლანდია), 5,5-5,5 ქულა დაგროვეს. კოეფიციენტთა სისტემის გამოყენებით კომპიუტერმა გამარჯვება მიანიჭა ვიაჩესლავ შჩეგოლევს.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

რა მოვიხმინოთ

საქართველოს რადიოს ეკრანული ივლისის ტელეფიტეკა

17 ივლისი

პირველი პროგრამით: 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ქართული ოპერების საციკვაოები, 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — ა. დარგომიჟსკი. რომანსები, 11.45 — „კადრების იდეურ-პოლიტიკური აღზრდა“, 12.15 — „პოლონეზები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — კ. კალაძის ლექსები, 12.30 — მელორის ანსამბლი „კოლხეთი“, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 13.40 — აფხაზური მუსიკის კონცერტი, 14.00 — „ლიგერატურული კითხვა“. ვ. ალფენიძე — „ცისკრის ვარსკვლავი“ (გაგრძელება), 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.35 — მოსწავლეთათვის. კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“, 19.00 — „მაღალორგანიზებული შრომის სგიმულები“, 19.15 — ა. ჩიმაკაძე. კამერული ნაწარმოებები, 20.30 — თ. მაღლაფერიძე. „მირზას დაბრუნება“, ნაწყვეტი ახალი ბიოგრაფიული რომანიდან, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — რადიოსადგური „სიმბატუკი“, 22.00 — „ხალხური მომღერალი გიორგი ბუღაძე“. მუსიკალური ნარკვევი, 23.30 — „სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადა“. სპორტული დღიური, 23.40 — პოპულარული საოპერეტო მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

18 ივლისი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“ 08.37 — მსოფლიოს ხალხთა მუსიკა, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მ. დავითაშვილი. კამერული ნაწარმოებები, 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 ქართული საორკესტრო ტანსაცმელი, 11.30 — „პარგიული ცხოვრება“, საუბარი „განახლებვენ, სწავლობენ“, 12.15 — ფრანგული სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ს. ისაინის ლექსები, 12.30 — ე. ობრაზცოვასა და ვ. ნორეკაკის კონცერტი, 13.40 — „ეკრანის მელოდიები“, 14.00 — „ლიგერატურული კითხვა“. ვ. ალფენიძე — „ცისკრის ვარსკვლავი“ (გაგრძელება), 14.20 — მ. მუსორგსკი. კამერული ნაწარმოებები, 17.15 — დ. არაყიშვილი. სიმღერები და რომანსები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის. რადიოსადგური „ციცინათელა“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“, 19.00 — „გაუღო, გაიბრე, გაღო!“ რადიოკომპოზიცია, 19.20 — კონცერტი ნ. მამისაშვილის ნაწარმოებებიდან, 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაკო-ერევანი“ (ერევნიდან), 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ახალგაზრდობისათვის. „თქვენ დაინახეთრეთ, ამხანაგო!“ 21.30 — ქართული ხალხური სიმღერები, 22.00 — სპექტაკლების სცენები ა. ხორავასა და ა. ვასაძის მონაწილეობით, 23.30 — „სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადაზე“. სპორტული დღიური

19 ივლისი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — „დილის კონცერტი“, 08.37 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — ი. შაპორინი. ხუთი პიესა ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის, 11.45 — „ფერმენტები სოფლის მეურნეობაში“, 12.15 — გ. ციციშვილი. სიმღერები, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.35 — პიესები საფორტეპიანო ფუეტებისათვის, 12.45 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 13.40 — უკრავს მ. დოიჯაშვილი, 14.00 — „ლიგერატურული კითხვა“. ვ. ალფენიძე — „ცისკრის ვარსკვლავი“ (დასასრული), 14.20 — ჯ. დებიუსი. სიმფონიური ნაწარმოებები. 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.30 — უფროსკლასელთათვის. რადიოსადგური „სიყმაწვილის თანამგზავრი“, 18.00 — „სამრეკლო ოსეთის ავგონომიური ოლქის ახალი ამბები“, სამრეკლო ოსეთის რადიოს გადაცემა, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“, 19.00 — **მილიონიანი ლენინგრადი უნივერსიტეტი.** „ხუთწლედები და სოციალიზმური შეჯიბრება“, 19.20 — ა. გლაზუნოვი. ბალეტი „რაიმონდა“. ნაწყვეტები, 19.40 — მღერის ნ. იურენევა, 20.30 — „მწერალი და ცხოვრება“. ტ. ბავთასი — „ათი ლექსი. კომკავშირულ ათეულზე“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — „ანდერსენის ზღაპრების მუსიკა“. რადიოკომპოზიცია, 23.30 — „სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადაზე“. სპორტული დღიური.

20 ივლისი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.31 — „დილის კონცერტი“ 08.37 — „მელოდიიდან მელოდიამდე“, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — მღერის მ. მაგომაევი, 11.10 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა, 11.20 — შ. მშველიძე. სიმფონიური სუიტათა „ფშაური“, 11.40 — „ოჯახი, სკოლა, კოლექტივი“. რადიონარკვევი „ბრუდე გზაზე“, 12.15 — „საესტრადო რიგმები“, 12.30 — „კომენტარი საერთაშორისო თემაზე“, 12.35 — კონცერტი, 13.50 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 17.15 — „ახალგაზრდების შემოქმედება“ — უკრავს ნ. ქათამაძე, 17.40 — მოსწავლეთათვის. მღერის „მზიური“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“, 19.00 — „ნახევარი წლის შედეგები: პრობლემები და ამოცანები“, 19.15 — დ. თორაძე. ოპერა „ჩრდილოეთის პაპარანელი“. ნაწყვეტები, 19.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — ვალსები, 20.45 — „ყველა ერთ გულთა შორის“, ლექსები, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — შუმანი. კამერული ნაწარმოებები, 23.30 — „სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადაზე“. სპორტული დღიური,

21 ივლისი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — „დილის კონცერტი“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — ხალხური მუსიკის კონცერტი, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.20 — მსუბუქი მუსიკა, 12.00 — „როცა ბავშვებისათვის ვწერთ...“, 12.15 — კონცერტი ა. მაჭავარიანის ნაწარმოებებიდან, 14.00 — „თეატრი მიკროფონთან“. ბაიუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი „დრო-24 საათი“, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.50 — „კამერულ-ინსტრუმენტული პიესები, 17.00 — სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადის საზეიმო გახსნა. გადმოცემა ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონიდან (მ.), 18.00 — „მსოფლიოს ერთი კვირის ამბები“, 18.10 — „მელოდია, რიგმი, განწყობილება“, 19.00 — „მოლტი“. საგიორგინო-ეუფონიტური რადიოჟურნალი, 19.30— მოცარტი. ოცდამეხუთე სიმფონია, 20.30 — „ჩვენი ეშვიათი ჩანაფერები“ — ვ. გოძიაშვილი კითხულობს გ. შაგბერაშვილის მოთხრობას „მამალსნინეს სიკვდილი“, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — „ეკრანის მელოდიები“, 21.30 — ახალგაზრდობისათვის. „შეხვედრა თქვენი თხოვნით“, 23.30 — „სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადაზე“. სპორტული დღიური, 23.40 — ზ. ფალიაშვილი. ოპერა „ლაგავრა“. ნაწყვეტები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

22 ივლისი

პირველი პროგრამით: 06.08 — უკანასკნელი ცნობები, 06.38 — „ჩვენი მთა-ბარის ჰანგები“, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (მ.), 08.37 — „ნაცნობი მელოდიები“, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“ საკავშირო გამოშვება, 10.15 — „დილა მშვიდობისა!“ (მ.), 12.16 — „პოეტი მიკროფონთან“ — რ. მარგიანი, 12.30 — მ. ქასაშვილის კონცერტი, 13.30 — „ახალგაზრდობისათვის. „მუსიკის საათი“, 14.30 — „ფიზკულტურა და სპორტი“. რადიოჟურნალი, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი“ (ერევნიდან), 15.30 — „სოციალიზმის ქვეყნებში“, 15.45 — სვანური სიმღერები, 17.15—მოსწავლეთათვის. „რაგომ სდუმან ტყრბები?“, 19.05 — კონცერტი ვაჟჭრობის მუშაკთა თხოვნით, 20.30 — ო. იოსელიანი. „გამოცდა“. რადიოდადგმა, 21.15 — გამოჩენილ მუსიკოს-შემსრულებელთა კონცერტი, 23.30 — „სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადაზე“.

ტელევიზია

17 ივლისი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „ლილი ვარჯიში“ (მ.), 16.30 — აბიბურიინგთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — მულტიკლიკაციური ფილმი, 17.25 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგეოლოგიური დოკუმენტური ფილმი „პოლესიის ჰორიზონტები“, 17.50 — პასუხი ტელემაყურებელთა შეკითხვებზე, 18.20 — აბიბურიინგთათვის — „ახალგაზრდა ირჩევს პროფესიას“ (ფ.), 19.00 — „ბავშვის საერთაშორისო წელი — „შენთვის, მომავალო!“ (განმეორებით. ფ.), 19.45 — „ღღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30—„ინფორმაციი, 20.50 — „ქართული ფილმი“ — საიუბილეო კინოჩვენება — მხატვრული ფილმი „დაგვიანებული სასიძო“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მუსიკალური გადაცემა „პრელუდია“ (ფ.).

მეორე პროგრამით: 17.15 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — საგეოლოგიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „სათვალიანი ბიმუნა“ (ფ.), 18.05 — განცხადებები (ფ.), 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — მხატვრული ფილმი — „ოფიცრები“.

თეატრი

17 ივლისი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — შთამომავლობა; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩარლზ დეიდა; საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია (მეგიერის პლაგო) — **„ორერა“.**

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტი



აცხადებს მიზნობრივ ასპირანტურაში მიღებას 1979 წლისათვის სპეციალობით 16.00.02 — პათოლოგია, ონკოლოგია და მორფოლოგია (პათანატომია) — 1 ადგილი.

მისაღები გამოცდები და ასპირანტის მომზადება იწარმოებს საქართველოს ზოოტექნიკურ - სავეტერინარო სასწავლო-კვლევითს ინსტიტუტში.

განცხადება მიზნობრივ ასპირანტურაში მიღების შესახებ უნდა შემოიტანოთ ინსტიტუტის რექტორის სახელზე და დაურთოთ შემდეგი საბუთები.

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის პირი (ნოტარიულად შემოწმებული) და დანართი, დახასიათება შუაბრის უკანასკნელი ადგილიდან; ავტობიოგრაფია, კადრების აღრიცხვის ფურცელი, 3 ფოტოსურათი. გამოქვეყნებული შრომების სია (პირები, რომლებსაც გამოქვეყნებული შრომა არა აქვთ, ადგენენ სამეცნიერო მოხსენებას — რეფერატს სპეციალურ საგაზეთ); ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის მიერ, ან საასპირანტო რეკომენდაცია; ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286).

ასპირანტურაში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგაზეთ, სკკპ ისტორიასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

საბუთები მიიღება განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში. მისაღები გამოცდები დაიწყება 1979 წლის 5 სექტემბრიდან.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ინსტიტუტის სასწავლო ნაწილში.

მისამართი: 380107 თბილისი — კრწანისი, ავტობუსი № 28.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა

პროგნოზი, რეალობა და სურვილები

ჩვენი კორესპონდენტები ჯ. ენუქიძე და გ. გამრეკელი მოსკოვიდან გვატყობინებენ:

სამგზისტმა შეჯიბრების თაობაზე რეპორტაჟის წერისას თავდაპირველად ერთთავად მაყორული განწყობილება გვქონდა. ამის საფუძველს გვაძლევდნენ თვით ათლეტები, რომლებმაც საქართველოს სპორტულ დელეგაციას 6 წონაითს კატეგორიაში 111 ქულა შესძინეს. მომდევნო ორ დღეში კი ჩვენი რესპუბლიკის ოთხმა ათლეტმა (62, 68, 100 კგ და მძიმე წონა) ვერც ერთი ქულა ვერ მოუტანა რესპუბლიკას, ცხადია, ასეთ ვითარებაში ხალისიანი განწყობილება თვალსა და ხელს შუა დაიღია. საქართველოს სამბისტებმა პირველ სამ დღეში მოპოვებული პოზიცია (საერთო გუნდურში მესამე ადგილი) დათმეს და საბოლოოდ მეიექვსე ადგილს დასჯერდნენ. ყოველივე უფრო ნათელი რომ იყოს, მკითხველს სამსჯავროზე გამოგვაქვს სამბისტთა საბოლოო გუნდური შედეგები